

## ასეათ პაპიტე

### II ჩაგურებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში

თანამედროვე ქართულის კავშირებითი კილოს ნაკვთთა შორის ყველაზე გავრცელებული II კავშირებითია. წარმოშობის თვალსაზრისითაც იგი უძველესი კავშირებითი კილოს ნაკვთთა შორის. ამიტომაც კავშირებითი კილოს ნაკვთთა თავდაპირველი ფუნქციების გასა-თვალისწინებლად დასაყრდენად იღებენ სწორედ II კავშირებითს.

ძველს ქართულში II კავშირებითის ფორმები სამი ძირითადი ფუნქციით იხმარებოდა: 1. თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოსაცემად, 2. საკუთრივ კავშირებითობის აღსანიშნავად და 3. ბრძანებითი კილოს ფუნქციით<sup>1</sup>. ვარაუდობენ, რომ ამ ფუნქციათაგან პირველადი უნდა იყოს თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემა<sup>2</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ საშუალო საუკუნეებიდან აპექტის სისტემის შეცვლამ და ამასთან დაკავშირებით მყოფადის წრის ნაკვთთა ჩამოყალიბებამ მომავალი დროისა და კავშირებითობის გადმოცემა ერთგვარად დააცალკევა (წარმოიქმნა მომავლის გადმოსაცემი სპეციალური ნაკვთები), თანამედროვე ქართულში II კავშირებითის ნაკვთი კვლავ ზემოაღნიშნული იმავე სამი ფუნქციით გამოიყენება და ამით მკვეთრად განსხვავდება დრო-კილოთა I და III ჯგუფის კავშირებითის

1 ღ. მელიქიშვილი, მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთმიმართების საკითხისათვეს (ძველი ქართული ენის მასალაზე დაყრდნობით), ივე-ს წელიწდეული, VII, თბ., 1980, გვ. 62.

2 არ ნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, ვგ. 276, § 107; ღ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 67, 70. არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, კერძოდ, „კილოს კატეგორიის ჩამოყალიბება ქართულში უნდა მიეკუთხებოდეს იმ ხანებს, როდესაც დროის კატეგორია ზმნაში ჭრ კიდევ არ არის კონკრეტიზებული, ე. ი. არ არსებობდა სპეციალური ფორმები იქმოს, ნამდებარებოდის გადმოსაცემად“ — (ნ. კოტინოვი), კილოს კატეგორია ქართულ ენაში, თელავის პედინტიტუტის შრომები, III, თბ., 1959, გვ. 394—395).

ნაკვთებისაგან, რომელთათვის არაა დამახასიათებელი ასე ნათლად გა-  
მოკვეთილი საკუთრივ მომავალი დროის ანდა ბრძანებითი კილოს  
აღნიშვნა.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში II კავშირებითი გვხვდე-  
ბა კავშირებითი კილოსათვის დამახასიათებელ ნაირგვარ კონსტრუქ-  
ციებში, მყარ ფრანზეოლოგიურ გამოთქმებში, ბრძანებითი კილოს გად-  
მომცემ საშუალებათა შორის თუ სხვადასხვა მარტივ, თავისუფალ შე-  
სიტყვებებში.

საერთოდ, კავშირებითი კილოს ნაკვთებისათვის დამახასიათებე-  
ლია გარკვეული კონსტრუქციების შექმნა. მაგრამ, როდესაც კავში-  
რებითის ნაკვთის სემანტიკაში დროულობა ჭარბობს კილოურ ში-  
ნაარსს, მაშინ ისინი შედარებით უფრო თავისუფალნი არიან კონ-  
სტრუქციათა შექმნისაგან, რადგანაც მომავალი დროის გამოხატვა ქარ-  
თულში არ მოითხოვს სინტაქსურ-სემანტიკურ საშუალებათა ერთობ-  
ლიობას, მაშინ, როდესაც კავშირებითი კილოს მოდალობათათვის ეს  
აუცილებელია.

ყველი ფუნქცია, რომელსაც II კავშირებითის ნაკვთთან დაკავ-  
შირებით გამოვყოფთ, განიხილება არა საკუთრივ II კავშირებითის,  
როგორც ნაკვთის ნიშანი, არამედ იმ რთულ ფუნქციურ-სემანტიკურ  
საშუალებათა ერთობლიობა, რომელშიც მონაწილეობს II კავშირე-  
ბითიც.

I. კავშირებითობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია „გა-  
მოიხატება ენის მორფოლოგიურ, სინტაქსურ-ლექსიკურ, ინტონაციურ  
და სხვადასხვა კონტაქსტურ საშუალებათა კომბინაციით“<sup>3</sup>.

იმ თვალსაზრისით ბრძანებითი კილოს გადმოსაცემად გარდა ინ-  
ტონაციური საშუალებისა, ერთგვარი ფუნქციური ძალა აქვს იმასაც,  
რომ ბრძანება ძირითადად II პირის მიმართ გვაქვს. მაშინაც კი, როდე-  
საც მოქმედების შესრულების აუცილებლობას III პირისაგან მო-  
ითხოვენ, შუამავალი, ბრძანების გადამცემი, მაინც მეორე პირია.  
მაგ., მან (მშენებელმა) ააშენოს ეს სახლი! — მშენებელს (მას) ეს ამბა-  
ვი უნდა გადასცეს იმან, ვინც ბრძანება მოისმინა, II პირმა. პირველი  
პირის მიმართ ბრძანების დროსაც აუცილებლად II პირიცაა. (რადგა-  
ნაც ბრძანება შეიძლება მხოლოდ I პირის მრავლობით რიცხვში: ჩვენ  
ავაშენოთ! — აქ ჩვენ=მე და შენ ან მე და თქვენ) ამგვარად, ბრძა-  
ნების შემსრულებელი შეიძლება იყოს I პირი სხვა პირებთან ერთად,  
II პირი, III პირი, მაგრამ ყველა შემთხვევაში შუამავლად, მიმარ-

3 ნ. ოქრო პირიძე, კავშირებითი კილოს მოდალური ფუნქციები ქართულ  
ენაში, საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები, II, 1975, გვ. 296.

თვის ობიექტად II პირია წარმოდგენილი. ამიტომაცაა ბრძანებითი მიმართვის ფორმა. ამდენად, ბრძანებითობა ზმნისათვის იგივე ფუნქციაა, რაც სახელისათვის წოდებით ბრუნვაში ყოფნა<sup>4</sup>.

ინტონაციასა და ამ ერთგვარ ინკლუზიურობასთან ერთად აკრძალვითი, უკუთმითი ბრძანებითის გადმოცემისას დამატებით მახასიათებლად ჩნდება აგრეთვე უარყოფითი ნაწილაკები.

მაგალითად:

შენ ეი, მამლაყინწავ, ქათმებს არ გაუძლევ და გარეთ არ გამოჰერო (ვაჟა).

სიტყვამ „ერვოლუცია“ არ შეგვაშინოს, მეითხველო! (ილია).

ორიენტ დედა-შველი თვითან მომშორებით, დამითხვებისართ ამ ჩემი სახლი-დან... ამ ჩემში ეზოში არ გნახოთ არც ერთი! (დ. კლდე).

მე რომ გეტყვით, მაშინ ისროლეთ, არ გაბედოთ და არ გამოეკიდოთ, სელჩაორულ ბრძოლაში მაგათი მომრევი არა ვართ (ნ. დუმბა).

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. წართქმითი ბრძანებითის გადმოცემისას შეინიშნება ზმნის გადმოწევა წინადადების დასაწყისისაკენ, რითაც ნაბრძანები მოქმედება კიდევ უფრო აქცენტირებულია.

საერთოდ შენიშნულია, რომ ბრძანებითის ფორმით წარმოდგენილი ზმნა აქტიურად მიიწევს წინადადების დასაწყისისაკენ. შემასმენლის ამგვარი ქცევა ახსნილია სწორედ სათანადო კომუნიკაციური მიზანდასახულებით (მოქმედება მოქმედებისაკენ)<sup>5</sup>.

მაგალითად:

გედგას აბა მაზოლზე აგი ჩემოდანი, მე რა მენალება! (ნ. დუმბა).

მოცადოს, მოცადოს, კიდევ ჩამიგარდება ხელში (ვაჟა).

დაიკარგოს მნდედან, თორებ, იქნება, ზედ ცხერებზე დავანხეინო ტვინი (ვაჟა).

შეგხედოს შენმა ოხერმა ცოლმა, რომ ქმარი ყაეხარ (დ. კლდე).

ცილე, ცილე ვენს! — თქვა ბებომ (ნ. დუმბა).

დროს დავიცალოთ ამის პასუხს მიცემა (ილია).

ახლა დავიწყოთ იქიდამ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ესე იგი, გაუნათლებელია (ილია).

ორ უკანასკნელ წინადადებაში შედარებით სუსტი ბრძანებაა გამოხატული, ერთგვარად თხოვნას უფრო პგავს, მაგრამ როგორც კი

4 Г. А. Нинуა, Повелительное наклонение в грузинском языке; Автограферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тб., 1968, гл. 4.

5 ქ. აფხილნიძე, სიტყვათგანლაგება ქართულ მარტივ წინადადებაში (XIX—XX სს. პროზაული მასალის მიხედვით), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1971, гл. 257.

ზმნას ადგილს შევუცვლით და წინადაღების თავში დავსვამთ, მაშინვე იმატებს ბრძანებითობა. (დაგაცადოთ დროს, დავიწყოთ ახლა იქიდან).

II. II კავშირებითი ხშირად გამოიყენება დალოგურ, კითხვა-მიგებით წინადაღებებში. ამ შემთხვევებში იგი ზოგჯერ უშუალოდ მომავალი დროის ფუნქციითა გამოყენებული.

მაგალითად:

მაშ, ხურდა რამდენიმდე მოგიტანო? (ვაჟა).

არ შევრიგდეთა ძმა, სულ ხომ არ ვიჩუბებთ? (ვაჟა).

რა ვუყო მაშა? (ვაჟა).

მე რა ვუშვალო, ავიდე და კრამიტი გავასწორო? (ნ. დუბბ.).

უფრო ხშირად მომავალი დროის გადმოცემას თან ახლავს მოდა-ლური ნიუანსებიც:

რა ეშველება, ბონდო რომ დროზე არ ჩამოვიდეს? (დ. შენგ).

— რამდენი გენერლები გეყოლებათ თქვენ ქართველებს? — იქნებ ერთი ოცი-ოდე მოგროვდეს (ილა).

— ეგ რომ გითხათ, მითამ ჩემი ამბავი მიამბნია. — თუნდ რომ მი-ამბო, რა დასაძრახისია? (ილა).

მე და შენ სიარული შეგვიძლია, შენ რა, ამ ლოგინში გინდა და ლე? (ნ. დუბბ.).

ხომ არ გინდათ, თქვენ უბელურნო, სულ დაგანგრით და ნაცარმტერად გაქციოთ? მა სად წავიდე? (ვაჟა).

გინდა ისინიც ნადირს და აჭამო? (ვაჟა).

III. თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოსაცემად თანა-მედროვე ქართულში უმთავრესად ორი ნაკვთი გამოიყენება: მყოფადი და II კავშირებითი. მათგან დღეს ძირითადი მყოფადია, რომელიც, როგორც ცნობილია, ქრონოლოგიურად ბეგრად უფრო გვიანი წარმონაქმნია. მყოფადის წრის ჩამოყალიბებამ ერთგვარად II კავშირებითის სემანტიკაზეც იძოვება. რადგანაც II კავშირებითი განთავისუფლდა მომავლის გამოხატვის აღნიშვნისაგან, მასში უფრო გაძლიერდა მო-დალობის სემანტიკა. ამიტომაც საკუთრივ მომავალი დროის აღნიშ-ნავად II კავშირებითის ნაკვთი დღეს შედარებით ნაკლებად გამოიყენება.

თხრობითი კილოს მომავალი დროა აღნიშნული II კავშირებითით შემდეგ წინადაღებებში:

აბა, მაშ თქვენ ჩაი დაასხით და მეტე მოვყვათ სამეცნიერო ლაპარაკა (ილა).

ხოლო... დიალ, ხოლო... აქ წერტილები დაუსვათ და შევჩერ დეო (ვაჟა).

მე ნისკარტით თოქს გაწმენდო, — უბნებოდა კაჯაბი კურდლელს, — და, როცა გაგანთავისუფლებ, შენ კიდე კალათას, რომელშიაც მე ვზივარ, ფეხებით ფლასი გააგ-დებინე და გავკურცელოთ (ვაჟა).

შენ არ იფიქრო, მარტო ჩემი ინტერესი. მალაპარაკებდეს (დ. კლდ.).

რამ გადასცემის დამწერლი საჭიშვილი კვირტი გეორგია, ჩემი უბის სითხოთ  
გამოიჩინა (გ. ლეონ).

ამ შემოდგომაზე გეღარ დაიჭიროს ჩირიქება ხელთ მაჭარის ჯამი  
(გ. ლეონ).

მაგრამ ჯერ დალილია, დაისცენოს პატარა ხანი და მერე ვაჭამოთ  
(ვაჟა).

ამგვარ წინადადებებში ხშირად შესაძლებელია თავისუფალი შე-  
ნაცვლება II კავშირებითისა და მყოფადისა.

მაგალითად:

მარა, გინც ბიჭია და გაბედავს, ისე გავუნიდო საქმე, რომ კარში გამოსავა-  
ლი და ვალიო (ვაჟა).

(II ვაცხლი საქმეს, დაულევ გამოსავალს).

უნ სხვა ღირსებას ნუ ეძებ: შეირთე ის, რომელმაც შეგიყვაროს (აკავი).

(II რომელიც შეგიყვარებს).

ძიდებ უკეთესი გითხროთ (ვაჟა).

(II კიდევ უკეთესს გეტყვით).

პოლუოვნიკო, ტყუილად ნუ ფიქრობ, რომ მოიგო! (აკავი).

(II რომ მოიგობ).

უნ იცის, როგორ გაიგოს მაყურებელმა („სამშ.“).

(II როგორ გაიგობ).

კავშირებითი კილოს სხვადასხვა მოდალობათა გაღმომცემ ფუნქ-  
ციურ-სემანტიკურ საშუალებებში ერთ-ერთი განმსაზღვრელი როლი  
აკისრიათ მოდალურ სიტყვებსა და ნაწილყებს. ბუნებრივია, თხრობი-  
თი კილოს მომავალი დროის გმოხატვისას ეს მოდალური სიტყვები  
არ მონაწილეობენ, თუმცა არის შემთხვევებიც, როდესაც გვაქვს მო-  
დალური ნაწილაკი, მაგრამ მისი მოდალური ფუნქცია მიჩქმალულია  
და ზმნაც თხრობითი კილოს ფუნქციისაა.

მაგალითად:

ახლა, რადგანაც აგისხენით განათლების მნიშვნელობა, თქვენ უნდა ერთი  
რამა გკითხოთ (ილია).

ამ განანია ალომბაში მარტო ცოლ-ქმარი რას უნდა გახდეს, ამდენ საქ-  
მეს რა ხელი უნდა აუვიდეს? (დ. შენგა).

ამ წინადადებებშიც სრულფასოვნად ენაცვლება II კავშირები-  
თის ფორმას მყოფადი. ამასთან, ნაწილაკი უნდა არავითარ მოდალურ  
ნიუანსს არ აძლევს ამ შესიტყვებებს (შდრ. ერთ რამეს შეგვეითხე-  
ბით, რას განდება, რა ხელი აუგა).

IV. საგულისხმოა II კავშირებითის გამოყენების ერთი სპეციფი-  
კური ასპექტი თანამედროვე ქართულში. ოფიციალური დოკუმენტე-  
ბის ენაში, — დადგენილებების, ბრძანებულებების, კანონების და მისთ.  
საქმიან დოკუმენტაციაში, რომელშიც გათვალისწინებულია ამა თუ იმ  
მოქმედების მომავალში აუცილებელი შესრულება, იხმარება II კავ-

შირებითის ნაკვთი, ეს წინადაღებები კატეგორიული შინაარსისაა და თუმცა ზმნა უმთავრესად ნაწილაკის გარეშე გამოყენებული, ძალან დიდია უნდა ნაწილაკისა და მოდალური სიტყვის საჭირო სემანტიკა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზმნა ძირითადად ვნებითი გვარისაა, რადგანაც ამ გადაწყვეტილებებში აქცენტირებულია თვითონ ფაქტი, ბრძანება, ხოლო ამ ფაქტის შესრულების სავალდებულობა თავისთავად გამორიცხავს უკვე სუბიექტის აქტიურობას.

### მაგალითად:

მოწოდებული იქნეს ძირითადად სსრ კაეშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კაეშირის 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები („ახ. კომ.“).

ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში, მეცნიერული კადრების მომზადებში დამსახურებისათვის და დაბადების 90-ე წლისთვის დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გორგო სპირიდონის ძე ჩიტაა და კილო დო ვდეს ხალხთა მეგობრობის ორდენით („კომ.“).

მაგრამ მოწოდებებში, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც ბრძანება კონკრეტულადა მიმართული რომელიმე პირის ან ორგანიზაციისადმი და აქცენტირებულია არა ფაქტი, არამედ ქმედება, უკვე აქტიური კონსტრუქცია გვექნება.

### მაგალითად:

დაუცხრომლად განვამტკიცი ცარტიული დისციპლინა; შევაკევ-შირო პარტიული ბირთვი კოლექტივებში, ავამაღლო ლორთული კომუნისტების ავანგარდული როლი და პასუხისმგებლობა საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე („თბილ.“).

მოკავშირ რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, სათლოვ, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწევ-ბებს, ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეცნიერო და პროფესიონალურ რეგიონიზაციას ევალებათ, ... წარმომართონ საწარმოების, ორგანიზაციების, მშენებლობების, კოლ-მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძალები იმისათვის, რომ ყოველი ღონისძიებით აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა, დააჩინონ ტექნიკური პროგრესი, გაზიარდონ შრომის ნივთიერება, რაც შეიძლება სწრაფად აამოქმედონ დონეზე ახალი და უკეთ გამოიყენონ არსებული საწარმოო სიმძლავრენი, აამოქმედონ პროდუქციის გამოშვების გაზიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების ყველა რეზერვი და ამავე დროს შეამცირონ მატერიალური და შრომითი დანახარჯები („ახ. კომ.“).

ვ. როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულში კავშირებითი კილოს შინაარსი შეიძლება გადმოიცეს თხრობითი კილოს ნაკვთან თითქოს (ვითომ, გვინია, გეგონებოდათ) და -ო ნაწილაკების დაკავშირებით. თითქოს ნაწილაკი ძალიან პროდუქტიული ნაწილაკია კავშირებითი კილოს ნაკვთებთანაც, მაგრამ, როგორც კი ამ კონსტრუქციაში -ო ნაწილაკი ჩნდება, იცვლება ზმნის ნაკვთიც, — იგი თხრობითი კი-

ლოს ნაკეთს შეიწყობს. ამ მხრივ - თ ნაწილაკი თავისი ფუნქციით მოგვაგონებს ძველი ქართულის ცნობილ - მცა ნაწილაკიან კონსტრუქტორის. ოღონდ, - მცა ნაწილაკისაგან განსხვავებით, - თ ნაწილაკიანი კონსტრუქციით არ აღინიშნება მომავალი, თუმცა მომავალი დროისა და კავშირებითობის გადმოცემა, როგორც ცნობილია, სხვა შემთხვევებში მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. თითქოს — - თ ნაწილაკიანი კონსტრუქციით, როგორც პირობითად მას ვუწოდებთ, აღინიშნება კავშირებითობა მოქმედებისა, რომელიც დროის განსაზღვრულ მონაცემთა და სიტუაციაში მოხდა ან ხდება. მომავალი დროის კავშირებითობა ამ კონსტრუქციით არ აღინიშნება.

კავშირებითი კილოს ნაკეთთაგან ერთადერთი II კავშირებითია, რომელთანაც არ იხმარება თითქოს ნაწილაკი, თუმცა უნდა ნაწილაკის ან ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქციის მოშველიებით მისი გამოყენება შესაძლებელი ხდება. ამგვარივე „შუალედური“ საშუალებით II კავშირებითი, განსხვავებით კავშირებითი კილოს სხვა ნაკეთებისაგან, ერთგვარად იგუებს თითქოს — - თ ნაწილაკიან კონსტრუქციასაც.

მაგალითად:

უნებურად ნაბიჯიც წადგა, ხელიც გაიშვირა წინ, თითქოს უნდა მისწვდეს, მაგრამ მდინარე გრუსტნით და ხარხარით შეეგება (გ. შატბ.).

ეს რომ სოქვა თამჩომ, გაფარდა და ისე ღონივრად დაუწყო სარეცხს სრესა, თითქო ჯავრი ამაზედ უნდა ამოიყაროს (ილია).

ტანკი კი მიღიოდა მის გასასრესად ისე ლალიდ, ისე უდარდელად, თითქო მართლა ხელიც უნდა გაჭყლიტოს (რ. ჯაფ.).

მიიფარა ორივე ხელი ორსავ თვალზედ და, თითქო მოგუბებული ცრემლი უკვდ უნდა აქციოს, რაც ძალი და ღონე პქონდა კმუჭვნა და სრესა დაუწყო თვალებსა ხელებშიამუღებლივ (ილია).

ლურჯ ლოდთან მივიდა, დაიხარა, თითქოს უნდა ხელებით დასწვდება, მაგრამ ბერიეცის მხერის წაწყდა (გ. შატბ.).

როგორც აღინიშნა, თითქოს — - თ ნაწილაკიანი კონსტრუქციის გამოყენება II კავშირებითთან შესაძლებელი ხდება ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციებშიც.

მაგალითად:

კვიპაროზები იხრება, თითქოს სურს ახლოს, მედგრად, ზეუპოვრად მდგომ მუხების თათბირს ყური მოჰკრასო (ნ. ლორთქ.).

მთვარის შექმნებით ფოთოლთა შორის ქანდაკება ისე ნაზად გადმოიჩეოლა, ისე ღმობიერად შესცემოდა ადამიანს, თითქოს ას სურს მოეხვიოს, აღამაღლოს, ანეტაროს და შეინდოს (ნ. ლორთქ.).

პეტრე ჯერ ჩაფიქრდა, თითქო არ იცის, რა სთვასო, მერე კი ისევ კოჭმანობით წამოიძხა (ილია).

- თ ნაწილაკიანი II კავშირებითი ამგვარ კონსტრუქციაში ზოგ-

კერ მთელი წინადადებით შორდება თითქოს ნაწილაკს ან ფუნქციურად მის ფარდ სხვა ნაწილაკს.

### მაგალითად:

დადიოდა თავშალუნული, სულ ღობეებისა და კედლების ძირძირ, წინასწარ უთმობდა გზას ყველას; თითქოს ეშინოდა, არავის არაფერი ვატკინო (რ. ინან).

ამისი შევი და ღრმა თვალები მკვახედ გამოიყურებოლნენ, წარპშეკრული და გულდახურული, თითქო რაღაცას ითმენსო და თავისთვის ძალას ატანსო, შინაგანი ამღვრეულობა არავის ამცნოსო (ილია).

ლობე ერთგან თავდებოდა უშველებელის ჭიის კარებითა, რომლის ერთი ნახევარი, — თუნდ ორი წელიწადია, — ისე საცოდავად დაღრეჭით გაღმოპყიდვებოდა ერთს ყუნწის, ასე გგონია — ბოძს დაუჭერია საცემლადაო და ის კი იწევსო, რომ როგორმე ხელიდამ დაუსხლტესო (ილია).

ამ ერთგვარი „გაშუალების“ გარეშე თითქოს — ი ნაწილაკიანი კონსტრუქცია II კავშირებითის ნაკვთთან არ გვხვდება.

ამ კონსტრუქციაში მოქცეული II კავშირებითის ნაკვთი უკვე წარსული დროის კავშირებითობის გამომხატველია, ოლონდ ისეთი წარსულის, რომელიც შემდგომია მთავარი წინადადების ზმინით აღნიშნულ დროსთან შედარებით (მისთვის ერთგვარიად მომავალია).

ამგვარსავე წარსულ დროს აღნიშნავს II კავშირებითი აგრეთვე სხვათა სიტყვის ნაწილაკებთან მისი დაკავშირებისას.

### მაგალითად:

მეშინოდა, რომ თერგ-დალეულობა არ დამწიმონეთქი (ილია).

ბესარიონ ბიძამ ხეითოსავით ჩამაბარა ხატა, — არ დამღუპო (ნ. დუმბ.).

ლელა იქვე ტახტზე იჯდა ფეხმოკეცილი, წიგნს ჰყითხულობდა თავისთვის, მაგრამ ჩამაღ კი ყურს უგდებდა, ბიჭებს ურიგო არა წასცლეს რა ყმაწვილებთან (ყაკი).

ქისტანი კაცი მოუვლელად არ დატოვა, იქნებ ასეთს მეომარს წმინდა გიორგიც შეეწიოსო (ნ. ლორქე).

ამ წინადადებებში II კავშირებითით გამოხატული წარსული დროს საუბრის, ლაპარაკის მომენტთან შეფარდებითაა წარსული, მთავარი წინადადებისათვის იგი მომავალია.

წარსული დროის გამომხატველ სხვა კონსტრუქციებში II კავშირებითი არ გამოიყენება. ამიტომაც ნაკლებად გვხვდება იგი მთავარი წინადადების იმ ზმნებთან მიმართებაში, რომელიც წარსულ დროს გამოხატავენ. ამ მხრივ გამონაკლისია მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები, სადაც მთავარი წინადადების ნამყო სრულისა ნაკვთთან დამოკიდებულ წინადადებაში II კავშირებითია ნახმარი (მეომველ, რომ ეს გული გადაგიშალო). სხვა შემთხვევებში II კავშირე-

შითის გიმარტება მთავარი წინადადების წარსულდროიან ფორმასთან უხერხულ შესიტყვებებს იძლევა.

მაგალითად:

არცერთი ნამუშევარი ისე არ შემიქმნია, რომ ჩანაფიქრი ვინმეს არ გავუზიარო — უპირველესად მეგობრებს („ახ. კომ.“).

**შემიქმნია** — I თურმეობითის წარსულდროიან ფორმას შეეხამებოდა III კავშირებითის ფორმა, რომელიც წარსულში სავარაუდო მოქმედებას გამოხატავს — გამეზიარებინოს.

ასევე:

არჩილსაც ოთხი საძნე ურემი შეება, თივას აზიდუინებდა და შინ კზოში, გომურის შორი-ახლო ბოძებზედ შემდგარს მაღალ სათოვეზედ აღგმევინებდა, რომ საქონლის პირი არ მისწვდეს და არ გააფუკოს (ილია).

**აჯობებდა: აღგმევინებდა** — არ მისწვდომოდა, არ გაუფუკებინა.

რედაქციას ვთხოვე უფლება, რათა მცირე ხნით, შორიდან, მყითხეველის თვალით გადმოვხედო გაზეთს, ჩაეება დისკუსიაში და აზრი გამოვთქვა უურნალისტიების იმ საჭირობოროტო პრობლემებზე, რაც აღმათ ცველა ჩემს თანამოქალაქეს აწუხებს („ახ. კომ.“).

ქორი ილევებულ-აღშფოთებული გამოუდგა კოდალას, რათა იგი დასაჭოს ლიტერულად (ვაჟა).

ეს ორი უკანასკნელი დამოკიდებული წინადადება მიზნის გარემოებითია, სადაც ჩვეულებრივ, II კავშირებითი იგუებს ხოლმე წარსულდროიან ნაკვთს, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც II თურმეობითის ნაკვთია უფრო გამართლებული (გაღმომქედა, გამომეთქვა და დაესაჯა), რადგანაც საუბრის მომენტისათვის, ფაქტის ფიქსაციის დროისათვის მიზანი შესრულებულია, — უურნალისტი უკვე მსჯელობს უურნალისტიების საჭიროროტო საკითხებზე, ასევე ქორსაც უკვე უნდა დაესაჯა კოდალა.

საინტერესოა ეს წინადადებაც.

უკეთუ ღრმად ჩიუკვირდი და ფესვებიდან გასინჯე, არ შეიძლება არ მოიწონო (ვაჟა).

ამგვარად, თუ მთავარი წინადადების ზმნა ნამყო სრულის ნაკვთისაა, II კავშირებითის ნაკვთი დამოკიდებულ წინადადებაში მხოლოდ მაშინ ჩანს გამართლებული, თუ ნამყო სრულის ნაკვთი მომავალი დროის ფუნქციით არის ნახმარი, ე. ი. ზემოთ მოტანილ წინადადებაში ჩაუკვირდი უნდა უდრიდეს ჩაუკვირდების, გასინჯე — გასინჯავს. ამგვარი ფუნქცია ნამყო სრულს ხშირად აქვს თუ ნაწილაკთან ერთად ხმარებისას (თუ წავედი, კარგი იქნება). ზემოაღნიშნულ წინადადება-

ში ნაწილაკი უკეთუ ამ ზმნათა დროის სწორედ ამგვარი გააჩრების სა-  
შუალებას იძლევა. მაგრამ თუ ჩაუყვარდი და გასინჯე გაგებული იქ-  
ნება წარსული დროის შინაარსით, მაშინ II კავშირებითი დამოკიდე-  
ბულ წინადადებაში უკვე აღარ ივარებს.

VII. II კავშირებითი იხმარება ისეთ განსაზღვრებითი დამოკიდე-  
ბული წინადადების შემცველ რთულ ქვეშყობილ წინადადებებში, რომ-  
ლებშიც გამოხატულია კატეგორიული უარყოფა რაიმე ფაქტისა, მოვ-  
ლენისა. ამგვარ წინადადებებს ჩვენ პირობითად კატეგორიული გამო-  
რიცხვის წინადადებებს უუწოდებთ. მა ტიპის შესიტყვებაში დამოკიდე-  
ბულ წინადადებებში გამოყენებულია კავშირებითი კილოს ნაკვთები,  
ძირითადად III კავშირებითი, აგრეთვე აწყობსა და მყოფადის კავში-  
რებითები; II კავშირებითი შედარებით იშვიათად გვხვდება.

მაგალითად:

არ არის შეჯიბრება, რომ იყო საპრიზო აღვილზე არ გამოვიდეს („კომ.“).

მე არ შეგულება კაცი, რომელიც დათვრება და შშობელი არ გაისახეს (ლ. დუმ.).

VIII. თანამედროვე ქართულში II კავშირებითის ერთ-ერთი სპეცი-  
ფიკური ფუნქციაა მისი გამოყენება იმ შესიტყვებებში, რომლებიც სე-  
მანტიკურად შეესაბამება ძველი ქართულის ინფინიტიურ კონსტრუქ-  
ციას.

ინფინიტივად ძველს ქართულში მიჩნეულია ვითარებით ბრუნვაში  
დასმული მასდარი, რომელიც ზმნისებურ კონსტრუქციებს ქმნის, ხოლო  
ის კონსტრუქცია, რომელსაც ინფინიტივი ქმნის, ინფინიტიურ კონ-  
სტრუქციადაც წოდებულინ. ინფინიტიური კონსტრუქციის სპეციფიკას  
ქმნის ინფინიტივის დამოკიდებულება კონსტრუქციის ძირითად წევრებ-  
თან, — ძირითადად პირდაპირ და ორიბ პრიექტებთან?

გამონათქვამის გრამატიკულ სტრუქტურაში ინფინიტივის ან მისი  
კონსტრუქციის ფუნქციას არკვევენ წინადადებაში ჩანაცვლების თვალ-  
საზრისით მათი ეკვივალენტური წევრის განხილვის შედევრად. ამის მი-  
ხედვით ძველს ქართულში ინფინიტივსა და ინფინიტიურ კონსტრუქ-  
ციას შეეძლო შეესრულებინა პირდაპირი დამატების, ქვემდებარის, უბ-  
რალო დამატების, მიზნის გარემოებისა და პრედიკატიული წევრის  
(შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის) ფუნქციების.

ამასთან, შენიშვნულია, რომ, მართალია, ინფინიტივის შემცველი

6 დ. ჩ ჩ უ ბ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972, გვ. 4,42.

7 ი ქ ვ ვ, გვ. 43.

8 ი ქ ვ ვ, გვ. 44.

წინადადებები აგებულების თვალსაზრისით მარტივი წინადადებებია, მაგრამ სემანტიკურად ისინი რთულ წინადადებებს უდრის და ინფინიტივი და მასთან დაკავშირებული სიტყვები დამოკიდებული წინადადების მაგივრობას ეწევიან<sup>9</sup>.

როდესაც თანამედროვე ქართულის ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციებზე და მათში II კავშირებითის მონაშილეობაზე - ვლაპარაკობთ, მხედველობაში სწორედ მათი ეს ფუნქციურ-სემანტიკური მხარე გვაქვს. ამდენად, ამ კონსტრუქციებისათვის ინფინიტიურის წოდება პირობითია და განსაზღვრულია უკუჩანაცვლების შედეგად ძველი ინფინიტიური კონსტრუქციის სემანტიკასთან მსგავსებით<sup>10</sup>.

დღევანდები ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქცია ორი, ერთმანეთთან ჰიპოტაქსური მიმართებით დაკავშირებული, პირიანი ზმნისაგან შედგება და ამდენად, რთული წინადადების კონსტრუქცია აქვს. ამასთან, პირველი ზმნა თხრობითი კილოსია, მეორე — კავშირებითისა. აწმყოში ან მყოფადში დასმულ ზმნასთან მეორე წევრად II კავშირებითი გვაქვს, ნამყოში დასმულთან — II თურმეობითი III კავშირებითის ფუნქციით (ნამყოდროიან ფორმებთან დაკავშირებას, როგორც აღინიშნა, II კავშირებითი გაურბის).

მაგალითად:

ახალგაზრდობას არ სურს შეურიგდეს არსებოლ ნაკლოეანებებს („ახ. კომ.“).

პეტ ბერიმ გადაწვიტა საიუბილეო წელს მოწყო პირადი შეკიბრება იმავე ტრასაზე („ლელო“).

შესიტყვებები არ სურს შეურიგდეს და გადაწყვიტა მოწყო შეესაბამება მასდარულ კონსტრუქციებს: არ სურს შერიგება და გადაწყვიტა მოწყობა. აღნიშნულ შესიტყვებებში „კავშირებითის ფორმა შინაარსობრივად უდრის ქართულში მასდარს (მოქმედების სახელს) და რუსულში ინფინიტივს, რომელიც უბრალო დამატებად არის მიჩ-

9 დ. ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972, გვ. 69.

10 რადგანაც ინფინიტივის ფუნქციით მასდარი გვევლინებოდა, ძველი ქართულის ინფინიტიურ კონსტრუქციებს მასდარულსაც უწოდებენ შედრ.: ა. რ. მარტიონ ვ. მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში, ივე, VII, 1955; შ. ძიძიგური, წინადადების მასდარული კონსტრუქცია, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო ბეჭ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 19, 1966; ტერმინი „ინფინიტიური“ ძველი ქართულისთვის პირობითია, კიდევ უფრო პირობითია იგი თანამედროვე ქართულის მასალისათვის. ამიტომაც უწოდებოდ დღეს მას ე. წ. ინფინიტიურს.

ნეული: „გთხოვთ დამინიშნოთ=გთხოვთ ჩემთვის დანიშვნას“, „прошу назначить мне“<sup>11</sup>.

აღსანიშნავია, რომ ინფინიტივი ამა თუ იმ ფუნქციით იხმარება მხოლოდ გარკვეული სტრუქტურულ-სემანტიკური ჯგუფის ზმნებთან და მათი რიცხვი ერთგვარად შეზღუდულია<sup>12</sup>.

შენიშვნულია, რომ მთელ რიგ ენებში მოქმედების დაწყების, გაგრძელების, დამთავრების შესაძლებლობის და ა. შ. გამომხატველი ზმნები ინფინიტივთან ხმარებისას მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ (თუმცა ფორმალურად ინფინიტივი მათზეა დამოკიდებული). ინფინიტივით გამოხატულ ძირითად მოქმედებას ისინი მხოლოდ დამატებით ნიუანსს მატებენ და, ამდენად, მათ უჩნდება მეშველ ზმნად ქცევის ტენდენცია<sup>13</sup>.

თანამედროვე ქართულის ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციებშიც სწორედ ამგვარი ვითარება გვაქვს. ძირითადი სემანტიკური დატვირთვა აქვს ინფინიტიური კონსტრუქციის მეორე შემადგნელ წევრს — კავშირებითის ფორმის ზმნებს, ხოლო პირველი ზმნა მხოლოდ გარკვეულ მოდალურ ელფერს აძლევს შესიტყვებას<sup>14</sup>.

სწორედ ამ მოდალურობამ განაპირობა იმდენად მჭიდრო სემანტიკური კავშირი ორი სხვადასხვა წინადადების ზმნებს ჰორის, რომ კონსტრუქციულად თითქმის წაიშალა ზღვარი ამ წინადადებებს შორის და დღეს მრავალი მათგანი უკვე განიხილება არა რთულ, არამედ მარტივ წინადადებად, ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქციით<sup>15</sup>.

განსაკუთრებით ხშირად ხმარებული ნებელობის აღმნიშვნელი გარკვეული მოდალური სიტყვები თანდათან ნაწილაკებადაც იქცნენ და, თუ ძეელი ქართულის ეგების თქუმად შესიტყვებაში ეგების მოდალური ზმნა იყო, თანამედროვე ქართულისათვის ეგებ(ის) უკვე ზმნური წარმომავლობის ნაწილაკია. ასევეა: უნდა, იქნებ... ასეთსავე ტენდენციას ამჟღავნებს შეიძლება.

ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციებში II კავშირებითი, ძველი ქართულის ინფინიტივის მსგავსად, გამოიყენება პირდაპირი, ირიბი,

<sup>11</sup> ვ. ოთვ უ რ ი ა, ქართული ენა, და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1966, გვ. 92—95.

<sup>12</sup> დ. ჩ ხ ბ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

<sup>13</sup> ი ქ ვ ი, გვ. 70.

<sup>14</sup> ძეელი ქართულშივე ხდებოდა ინფინიტივის გამოყენება მოდალური შინაარსის მქონე ისეთ პირნაკულ ზმნებთან, როგორებიცაა: გერ არს, უმჯობეს-არს, წეს-არს, სამართლა-არს, ეგების. იხ. დ. ჩ ხ ბ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 57.

<sup>15</sup> მარტივ წინადადებად თვლის მათ ნ. კოტინოვი, იხ. მისი „წინადადების ერთი სახეობისათვის თანამედროვე ქართულში“, — „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 3, 1966 წ., გვ. 13—16.

უბრალო დამატებებისა და ქვემდებარის ფუნქციებით. არ გვხვდება იგი მიზნის გარემოების ფუნქციით. ინფინიტივის ეს უკანასკნელი ფუნქცია მთლიანად რთულმა წინადადებამ იყიდა. ამის მიზეზი უნდა იყოს ზმნათა სემანტიკური არჩევის არანებისმიერობა (განუპირობებლობა), რომლითაც ძველი ქართულის ინფინიტივი გამოიჩინოდა მიზნის გარემოების გამოხატვისას. მიზნის გარემოების ფუნქციით იგი შეიძლებოდა შეგვხვედროდა ყველა იმ ზმნათან, რომელიც სემანტიკურად მიზნის გარემოებას იგუებდა<sup>16</sup>.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, თანამედროვე ქართულში ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქციის განმაპირობებული (განმსაზღვრელი) არის მთავარი წინადადების ზმნის მოდალური შინაარსი. სხვა შემთხვევაში არ იქმნება ის აუცილებელი და მჭიდრო სემანტიკური კავშირი ორ ზმნას შორის, რომელიც მეორე ზმნას სემანტიკურად მოქმედების სახელად ქვევს.

განსაკუთრებით ძლიერია მოდალური ზმნის კავშირი II კავშირებითით გამოხატულ ზმნასთან მაშინ, როდესაც II კავშირებითი ქვემდებარის ფუნქციითაა გამოყენებული.

II კავშირებითთან ამ დროს ძირითადად დაკავშირებულია შესაძლებლობისა და ნებელობის სემანტიკის ზმნები: შეიძლება, შემიძლია, შეუძლებელია, მინდა... გამონათქვამის ძირითადი სიტრაქსურ-სემანტიკური წევრია მეორე ზმნა — II კავშირებითით გამოხატული, ხოლო პირველი — მხოლოდ მოდალურობის აღმნიშვნელია.

მაგალითად:

უოვლად შეუძლებელი რომელიმე მათგანი შერჩეს მეითხველის შეხსეကებას (რ. გვ. 4).

მაგრამ, უფიქრობთ, ზოგ გამოსელას არ შეიძლება გვერდი აუაროს კაცმა და მას სათანადო შეფასება არ მიეცეს (კამ. 4).

არ შეიძლება განა ჩავშალო განკარგულება ღვთისა? (ვაჟა).

უცლელი სიტყვის ბევროთმა სახემ შეიძლება განიცადოს ცვლილებები (არნ. ჩიქ.).

მხატვარს შეუძლია გინდ უდაბნოს პეიზაჟი დახატოს, გინდ ცალაწვდილი მოტებისა (ა. ა. კამ. 4).

ამა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა წუდად მაქეს და ლედამიწა ქალამნალო (ილია).

შუალამე გადასულია და ის კი არ ისვენებს, არც სხევებს ასვენებს, თითქოს ვინ-მეს შეუძლია გაჭირვებაში შეენაცვლოს (გ. გვევ. 4).

მე შინდა დავრჩე და მოგისმინო (ნ. დუმბ.).

16 დ. ჩხუბიანი შვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 60. ქვევე ისიცაა შენიშნული, რომ სისტირით მაინც მოძრაობის გამომხატველი ზმნები ჭარბობს: მუვიდა, ალვდა, დადგა, წარიყვანა, წარგზავნა, მიავლინა და სხვ.

მეითხელის ყურადღება მინდა შევაჩერო იმაზე, თუ როგორ იბრძოდნენ და ვის წინააღმდეგ იბრძოდნენ ეს სიმბოლური გმირები (რ. ვაჟა). არც მინდა დავიცი წყო, არც იმასთან წასვლა შემიძლიან, რომ ერთხელ კიდევ მენახა თვალით (ვაჟა).

და, ბოლოს, გვინდა ჰაუჭაძისათვის მიწერილი ორი ლია წერალი გვიგვინოთ („კომ.“).

ახალგაზრდობას არ სურს შეურიგდე ს არსებულ ნაკლოვანებებს, არ სურს კომქავშირული ორგანიზაციები იტკეპნებოდნენ ერთ ალგილზე, არ სურს იყოს მოვლენების შორისან მაყურებლის პასიურ როლში („ახ. კომ.“).

საკმარისია თვალი და სუროს, რომ მაშინვე მოესმას სოფლის ვიწრო გზაზე ჭრიალით მომავალი ურმის ხმა და დობიროში გამოფენილი ბავშვების ურიაშული („ციხეარი“).

საკმარი გავრცელებულია თითქოს ნაწილაკიანი ინფინიტიური კონსტრუქცია.

მაგალითად:

დათვეომ ერთო-ორი შემოუარა ირგვლივ პასიკოს, თითქოს სურს გაოგოს, იქმინება თუ არაო და მერე უთხრა (ნ. ლორთქ):

ამგვარ წინადადებებში ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქციის წევრები ერთმანეთის სიახლოვისაკენ ისტრაფვიან, ხოლო რაც უფრო ძლიერია მოდალურობის სემანტიკა, მით უფრო ახლოს არიან ისინი ერთმანეთთან და შესაბამისად მინიმუმადეა შესუსტებული ჰიპოტეზებური კავშირი. იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როდესაც ამ კონსტრუქციაში რომ კავშირი გამოჩენდება ხოლმე (რაც უკველი ჰიპოტეზურობის ნიშანია), წინადადება მაინც ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციისად გაიაზრება. მაგალითად:

ეს ჩემი ასტატობა რომ გავრცელდება, მაშინ შეიძლება რომ ბუზების სკირდე და იწყონ (ილია).

აღნიშნულ წინადადებაში მეორე რომ თითქმის უფრნეცია და შეიძლება რომ დაიწყონ ზემოგანხილულ შემთხვევათა რიგში განიხილება.

გარევეული მნიშვნელობა აქვს ზმნათა პირსაც. თუ კონსტრუქციის წევრები ერთი და იმავე პირის ფორმებია, მათ შორის კავშირი უფრო მჭიდროა, განსაკუთრებით, თუ ზმნები III პირის ფორმებია, რომლებიც წესი, უფრო არაკონკრეტული, განხოგადებული, განყენებული პირის მოქმედებათა გამომხატველები არიან. მაგრამ, როდესაც კონსტრუქციის წევრები სხვადასხვა პირის ფორმებია, მაშინ თითქოს ჰიპოტეზურობა ჭარბობს და კონსტრუქციის ინფინიტიურობა უკვე საეჭვოდ ჩანს.

## მაგალითად:

მე მინდა... ჟველა თავისი ფეხით დაბრუნდე ს, თუგინდ ყავარჯნებით, მაგრამ მაინც თავისით დაბრუნდეს (ნ. დუშბ.).

მაინც და მაინც მაგის ხელიდან გინდა მოვკედე? (ნ. დუშბ.).

ჩემი დიდი სურვილია სცენაზე განვასახიერო ქართველი დედა („კამ.“).

ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციებში II კავშირებითი გამოღის ყველა სახის დამატების ფუნქციით: პირდაპირის, ირიბის, განსაკუთრებით ხშირად კი უბრალო დამატების ფუნქციით.

II კავშირებითი პირდაპირ დამატების ფუნქციით:

მე მეთხველს ვთხოვ სხვა აზრით არ ჩამომართვას და ვიტყვი (რ. ჭალ.).  
(=ვთხოვ არ ჩამომართვებას).

დღესაც გვხიბლავს ის მომნუსველი ძალა ქართული წინაანი სიტყვისა, რაც გამო და ლებს კვლავ და კვლავ დაუბრუნდე პუბლიცისტური ოსტატობის ამ ნამდვილ ზეიმს („ას. კომ.“).

(=გაიძულებს დაბრუნებას).

დაბრუნდი-მეთქი და ხატს შესთხოვე გაპატიონს! (დ. კლდ.).

(=შესთხოვე პატიება).

## ამგვე რიგისაა:

გთხოვთ გამათავისუფლოთ სამსახურიდან, გთხოვთ დამინიშნოთ სტიპენდია და ა. შ. (=გთხოვთ დანიშვნას).

## ირიბი დამატების ფუნქციით:

ჩენ ამოკიოხერთ და ერთი-ერთმანეთს გადავხედეთ იმის ნიშნად, როდის მოვაწყებოდოთ ნახევას. (ვაჟა).

(=მოვესწერებოდით ნახევას).

უცქერის მთლიანად მდებარეს როჭოს, მხოლოდ თავიდან ტვიქმოჭმულს, და ულამუნება ბუმბულივით გადაყლობოს (ვაჟა).

(=ელამუნება გადაყლობებას).

უბრალო დამატების ფუნქციით გამოყენებული II კავშირებითის მიმართება წინამივალ ზმნასთან მაშინაა შედარებით მჭიდრო, როგო-საც უს ზმნა აბსოლუტური შინაარსისაა.

## მაგალითად:

ამ მოხსენებებში მოცემულია ცდა აღმერთი შინოფრენით დაავა-დებულთა შორის სომატური, კერძოდ, ენდოკრინული რეაქციების ზოგიერთი თავი-სებბრებანი, აგრეთვე თავის ტვინში მიმღინარე ზოგიერთი თავისებურებანი, აგ-რეთვე თავის ტვინში მიმღინარე ზოგიერთი პროცესი („კამ.“).

(=მოცემულია ცდა აღმერთისა).

კაცი, რომელიც გონებითა სცენოვრობს, მოვალეა ღვთისა და ქვეყნის წი-ნაშე შეხვედეს განათლებულ კაცს საბასოდ გონების გასაფხისლებლად (ილია).  
(=მოეალეა შეხვედრისა).

ისინი მოვალენი არიან დროულად მოემზადონ ეპრაცების შისალებად (რ. ჭაფუ).  
(=მოვალენი არიან მომზადებისა)

თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ იღნიშნულ ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციაში ჰიპოტეტიკური მიმართება საემაოდ საგრძნობია და იგი ვერ ჩაითვლება იმ რიგის ინფინიტიურ კონსტრუქციად, რაც გვქონდა იმ შემთხვევებში, როდესაც II კავშირებითი გამოყენებული იყო ქვემდებარის და ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირი დამატების ფუნქციით.

რელატიურ ზმნებთან ჰიპოტეტიკური მიმართება II კავშირებითისა კიდევ უფრო აშეარაა და მათს ინფინიტიური კონსტრუქციის სემანტიკაზე მხოლოდ ძალიან პირობითად შეიძლება ვილაპარაკოთ.

მაგალითიად:

მე ძალიან მიყვარს მამიდა და სულ მეშინია, არ გათხოვდეს (ნ. დუმა).  
(=მეშინია მისი გათხოვებისა).

საქმის გათავება მეც ძალიან მეჩქინება, იმიტომ რომ მეშინია, არ ჩამე-შალოს (დ. კლდ).  
(=მეშინია ჩაშლისა).

არა, არ მჯერა, რომ იგი სხვა ყვავილივით დასჭირდეს როდისმე, ჩამო-ცვავდეს, განქარდეს, ამტკერდეს (გ. ლეონ).  
(=არა მჯერა დაჭირნებისა).

თანამედროვე ქართულის ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციისთვის დაკავშირებათ მთელი რიგი სადაო ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური საკითხები დგება. მათი გადაწყვეტა მოითხოვს არა მარტო II კავშირებითის, არამედ II თურმეობითის შემცველი კონსტრუქციების გათვალისწინებებსაც, რიგი სხვა საკითხების განხილვასაც. მაგრამ წინასწარ, ზემოგვანხილული მასალის საფუძველზე, შეიძლება ზოგი დასკვნის გა-კეთება.

კერძოდ:

თანამედროვე ქართულში გვაქვს ძველი ქართულის ინფინიტიური კონსტრუქციების სემანტიკურად ფარდი კონსტრუქცია, რომელიც შედგენილია აწმყოს ან მყოფადის ნაკვთისა და II კავშირებითის, აგ-რეთვე ნამყო უსრულის ან ნამყო სრულისა და II თურმეობითის ნაკვთებისაგნ. ე. ი. I ზმნა თხრობითი კილოს ნაკვთისაა, II — კავშირებითის<sup>17</sup>. ძველი ქართულის ინფინიტივის ფუნქციით გამოდის კავშირებითი კრლოს ზმნა.

17 II თურმეობითი ამ შემთხვევებში III კავშირებითის ნაცვლად არის გამოყენებული. ამდენად, II თურმეობითი ამ კონტექსტში კავშირებითის ფუნქციის გა-მოხსენევილია.

ულობის, აუცილებლობის, სასურველობისა თუ სხვა მოდალობების გამომხატველი ზმნები. ამდენად, მათი რიცხვი არც თუ ისე დიდი შეიძლება იყოს. ხშირი მიმართებისა და მჟიდრო კავშირის გამო შესაძლებელია მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის ზღვარის ერთგვარი წაშლაც კი. ეს განსაკუთრებით ადვილად ხდება მაშინ, როდესაც მთავარი წინადადება მოკლეა, — მარტოდენ ზმნით ან მასთან უშუალოდ დაკავშირებული წევრებით არის წარმოდგენილი.

თანამედროვე ქართულში ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციათა წარმოშობის გზა და მიზეზებიც ასე გვესახება.

ზმნური წარმომავლობის ნაწილაკები იქნება, უნდა, ეგებ და მისთა ასეთი ინფინიტიური კონსტრუქციების გავლით მიღებული ნაწილაკები უნდა იყოს. როგორც ჩანს, ინფინიტიური კონსტრუქციის პირველ წევრად განსაკუთრებით ხშირად ხმარებული ზმნები თანდათან კარგავენ თავიანთ ძირითად მნიშვნელობას, გადაიქცევიან დამხმარე ზმნებად და შემდეგ ნაწილაკებად. შემდგომ ეს ნაწილაკები შეიძლება დაუკავშირდნენ როგორც კავშირებითი კილოს ზმნებს, ასევე თხრობათისას.

VIII. ერთგვარად ინფინიტიური სემანტიკა აქვს აგრეთვე II კავშირებითს ზოგიერთ მყარ ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია II კავშირებითის გამოყენება ე. წ. ჩართულებში.

განკერძოებულ სიტყვათა და გამოთქმათა შორის ჩართული გამოირჩევა თავისი განმაზოგადებლობისა და კატეგორიულობის სემანტიკით, კონსტრუქციის სიმყარითა და ერთგვარობით.

მნიშვნელობის მიხედვით ჩართული სიტყვა და გამოთქმა მრავალგვარია. ერთი ჯგუფი ჩართულებისა გამოხატავს მოსაუბრის გრძნობას ფაქტის შეფასების თვალსაზრისით, მეორე — მოლაპარაკის დარწმუნებულობას სათქმელის უეჭველობა-უტყუარობაში, იგი გვიჩვენებს აგრეთვე წინადადებაში გამოთქმული აზრის წყაროს, აზრთა ურთიერთდამოკიდებულებას და ა. შ.<sup>18</sup>. მაგრამ ყველა ამათგანისათვის ამოსავალია მოსაუბრის, მთქმელის დამოკიდებულება წინადადებაში გამოხატულ აზრთან; ამდენად, ჩართული სიტყვები და გამოთქმები გარკვეული მოდალობის გამომხატველები არიან, ე. ი. გვიჩვენებენ იმას, „თუ როგორ უცქერის მთქმელი თქმულის შინაარსს, როგორც ფაქტს თუ როგორც შესაძლებელ-სავარაუდოს“<sup>19</sup>.

<sup>18</sup> ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 304—308.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 304—305.

II კავშირებითთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იქცევს ისე-  
თი ჩართული სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც გვიჩვენებენ მო-  
საუბრის ერთგვარ დათმობით, პირობით დამოკიდებულებას სათქმელ-  
თან ანდა იმას, თუ როგორ აფასებს მთქმელი მეტყველების სტილს, აწ-  
რის გამოხატვის ფორმას; ამ ჯგუფის ჩართულ გამოთქმებს აუცილებ-  
ლად ზმნური შედგენილობა აქვთ და რამდენადაც ისინი მოსაუბრის  
თვალსაზრისის გამომხატველები არიან, ამდენად მათში გამოყენებუ-  
ლია მხოლოდ განსაზღვრული სემანტიკის ზმნები. ესენია თქმის, საუბ-  
რის, მსჯელობის აღმნიშვნელი ზმნები, რომლითაც მოსაუბრე აფასებს  
ანდა განაზოგადებს ძირითად სათქმელს. ასეთებია, მაგალითად: უნდა  
აღინიშნოს, შეიძლება ითქვას, სიმართლე რომ ვთქვათ, დმერთმა ქნას  
და ა. შ.

#### მაგალითად:

იგი, თუ შეიძლება ითქვას, სპორტულად თაემოყვარეა („ლელო“).  
სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მათს განცხადებებს  
შევლელობა მიეცემული აქვს („კომ.“).

უნდა სიმართლე გითხრათ, მშიშარა არა ვარ, მაგრამ შევერთი  
(ვაჟა).

თქვენი ქვეყანა, მეცნიერის ენით რომ ვთქვა, განათლებული არ  
არის, ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, გაუნათლებელია (ილია).

დემეტრე მიწვა, ანუ, უკაეთ რომ ვსთქვათ, მიეგდო ქვეშაგებზე და თან  
ამინიჭება (ვაჟა):

მღრღა-გალობისათვის გული და ყანცრატო საჭირო, ჯიშიც, რა თქმა უნდა,  
ხოლო ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მოცალობა ყოველგვარ სიძნელეს და-  
ძლებს (ვაჟა).

სხვისი რა მოგახსენოთ, მე კი ვიტყოდი, ბევრ რამეზე-მეოქი („ახ.  
კომ.“).

სწორედ მოგახსენოთ, არც ეს პაპიროსია ურიგო (ილია).

ზოგიერთ ამგვარ ჩართულს ნაწილაკად ქცევის ტენდენცია უჩანს.  
ასეთებია მაგალითად: ვთქვათ, ვნახოთ, დავუშვათ და ა. შ.

#### მაგალითად:

ვითომ კვალიურიაცია გაუხუნდებოდათ, ვთქვათ, ჩვენს ვეტერინარებს, თუ  
ზორებერინარული ინსტრუმეტი მეცნიერებობის წინახაზს მიუაღლოვდებოდა, სიტყ-  
ვაზე, ლუშეთში იქნებოდა და არა თბილისში („ლიტ. საქ.“).

ვეხეტები უბელურად და ვნახოთ თუ შენ ღმერთი ხელს მოვიმართავს და  
რამე ხეირს შაჟერები (ვაჟა).

მხატვარიც, პოეტიც, კომპოზიტორიც, შეიძლება ორ-სამ თვეს სულ ჩამოსცილ-  
დნებ თავისთვის შემოქმედებას და, რაც გაეხარდებათ, ის იყეოთნ, ასე ვთქვათ,  
განწყობილებას მოუცალონ, ან განწყობილება ექებონ („ახ. კომ.“).

სანთელი რაღად გინდა, რა ვქნა? (ვაჟა).

როგორ უბედავს და ჭურდს ეძახის, ერთიც ვნახოთ, ამოსტეს და ორივეს  
დღე გავიმშაროსო, თანაც გაუკვირდა კოდალას მამაცობა (ვაჟა).

იგი, ცოტაარიყოს, ნირწამნდარი დაეშვა სკამზე („ახ. კომ.“).

ყველგან, ჩვენს დალუცვილ ქვეყანში, სადაც — გლეხისა არ იყოს — ქრისტე ღმერთს თავისი უხვი კალთა დაუბლერტია, ყველგან კაი ადგილებია (ილია).

აღსანიშნვია, რომ ზოგიერთი დღევანდელი ნაწილაკი სწორედ ჩართულის ტიპის ზმნური გამონათქვამიღან ჩანს წარმოშობილი. ასე-თებია: თითქოს. (← თუ ითქვას = თუ შეიძლება ითქვას)<sup>20</sup>, მგონი(ა) (← მგონია)... ავტორთა მიერ ისინი ხანდახან კვლავ ჩართულიდ გაიაზ-რება ხოლმე და წერისას ორივე მხრიდან მძიმებით გამოყოფენ.

მართლაც, ჩართული, როგორც მოსაუბრის ემოციების, მისი გან-წყობილების გამომხატველი განზოგადებული გამოთქმა, გარკვეული მოდალური შინაარსის შემცველია. (ამიტომაც შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ გამოთქმებში II კავშირებითის ასეთი ფართო გამოყენება). ამგვარად, ჩართულის გამოყენება ნაწილაკის ფუნქციით ბუნებრივო მოვლენა ჩანს და ზოგიერთი გამოთქმის ნაწილაკად ქცევის წინა საფე-ხურის გამოხატულება.

IX. II კავშირებითია გამოყენებული აგრეთვე რაც (არ) უნდა თქვას, გააკეთოს, ითიქროს... ტიპის ფრაზეოლოგიურ გამოთქმებშია მაგალითად:

გვიზრახე, რომ თითონ გლახას, რაც უნდა დამემართოს, გამოვათქმეა ვინო თავისი ენიაობა (ილია).

ასეთი ადამიინები ჩვეულებრივად მსჯელობენ, ლოგიურად ანეთარებენ აზრებს და რაც არ უნდა ჩაიდინონ, მართალი არიან თავიანთი მსოფლმხედვე-ლობით (ჩ. ჭავე).

რა ძნელი გამოცდის შინაშეც არ უნდა და და გ. ნ. ნ ისინი, თავისი ახალ-გაზრდული სიმხევით უკელავერს გაუძლებენ („ლიტ. საქ.“).

რა გინდ დიდ სიძნელეს არ უნდა წააწყდეს, უურნალისტი მუდაშ უნდა გრძნობდეს ხალხისა და ქვეყნის მხარდაჭერას („ახ. კომ.“).

ეს გამოთქმები თანამედროვე ქართულში ვეხვდება როგორც არ უარყოფითი ნაწილაკით, ისე მის გარეშეც: რაც უნდა//რაც არ უნდა. უარყოფითი ნაწილაკის არსებობა რუსულის კალკითაა ახსნილი (შლრ. რუს. ვი ყობი თო ან სტალინი).

X. საერთოდ, II კავშირებითისათვის ძალიან დამახასიათებელი ჩანს მყარ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში მონაწილეობა. ამ მხრივ გან-საკუთრებით აღსანიშნავია დალუცვისა და წყევლის ფორმულები. ამ გამოთქმებში II კავშირებითი ძირითადად უნაწილაკოდ გამოიყენება. რამდენადმე განსხვავებულია ამგვარი წინადაღების სინტაქსურ-სემან-ტიკური აგებულება. ფიცილის ფორმულებში სუბიექტი უმთავრესად

<sup>20</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 614.

ზებუნებრივი ძალა, ღმერთი, ღვთაებაა, ძლიერი და განყენებულა აბსტრაქციაა. ხოლო აბსტრაპირებული სუბიექტი რეალურად მოქმედი პირი ვერ იქნება. მაშასადამე, ის, რაც გრამატიკულად ამგვარი სუბიექტის აქტივობას მიეწერება, სინამდვილეში მხოლოდ ირეალობაა, — მოსაუბრის ნატვრა და დიდი სურვილია, ოცნებაა.

მაგალითად:

ჭავრია ღმერთმა პატრონს მოახმაროს შშეიღობა — გამარჯვებაში, იმის წყალობით ბევრი ბევერა და ციკანი ვააზ დევინო! (ვაჟა).

ღმერთმა უშველოს, დათიყომ დამისნა განსატრდელისაგან (ილა).

ღმერთმა ნუ მოგზალოს ნუგეში, შენი ჭირიმე! (აკავი).

ყოველი სიკეთე მისცეს ღმერთმა ბატონ ვასილს, ეს ღვთისნიერი ადამიინ გაისაჩა, ინება ჩვენთან წამომართანება (დ. კლლ.).

შორს ჩემგან! შეგააჩვენოს მავმალმა, თუ ფარსაგი სული არა ხარ (აკავი).

როგორც დედამიწას მზის სხივი არ მოეშალოს, ისე შენი სახელი არ მოგვიალოს ღმერთმა! (გ. ლეონ.).

და მიაყვირა თვითონ: აი, დაგწყველოს, ჭინკავი, დაგლავრის სამას სამოცუდა წმინდა გიორგიმ, რას მაშინებ, რომ მაშინებ, ქმარი შინა მყავს, ასეთ თოფსა გრავს, რომ ყირამალა გადაგომტრიალოს! (აკავი).

ე. წ. აბსტრაპირებული სუბიექტის გამო ფიცილის ფორმულებში მოქმედებითი გვარის ზმებსაც კი სემანტიკა ვნებითური აქვთ. ღმერთმა პატრონს მოახმაროს სხვა არაფერია, თუ არა პატრონს მოხმარდეს. ღმერთმა ნუ მოგიშალოს ნუგეში — ნუ მოგეშალოს ნუგეში და ა. შ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია დალოცვისა და წყვევლის ფორმულებში ვნებითური კონსტრუქციების სიჭარბე, რომელშიც არ ივარაუდება გრამატიკული სუბიექტის სემანტიკური აქტივობა.

მაგალითად:

მაგრამ დაიღო ცოს მათი ძლიერება, ღიღხან აღარ ატარებს ხოლმე იმათ თავის ნებაზე წმინდა გოორგი (აკავი).

დაგვებედოს დღენიადაგ საამაყოც, საღიმილოც („კომ.“).

გადაპერი — ესე მტერი დაგეცალოსო! (გ. ლეონ.).

ყველა წმინდა შეგვწიოს! მისი მაღლი სწყალობდეს ამ ოჯახს, სასოფლით წარმოსთქვა ღვინჭუამ, — რა ანგელოზიც მუშაობს აღამ და ევას აქეთ, ის შეეწიოს თაყას ოჯახს, ჩემს ნათლულებს, საქრისტიანოს, საქართველოს! შენც შეგვწიოს, პატარძალო! (გ. ლეონ.).

გარდა ღმერთისა, ამ გამოთქმებში სუბიექტად შეიძლება შეგვედეს აგრეთვე რამდენიმე შინაარსობრივად მისი მსგავსი სიტყვა, სემანტიკურად აგრეთვე აბსტრაქტული, არარეალურად ძლიერი და ყოვლისშემძლე.

## მაგალითად:

შიწამ კი დაგიკვეტოს ქარი, შე ულხინებელო! ფრინველს მიჰქონდეს შენი თმები თავისი ბუღისათვის! (პ. ლეონ.).

მისთანა თქვენმა მ ტერმა ნახოს, მე იქ სანახავი ვნახე. ჩემი ლის მაგირად ვილაც სხვა იყა! (აკაკი).

სახელს გილოცავთ! კიდევ დაზარდოს შენისთანები ჩვენმა მიწამა! (პ. ლეონ.).

დალოცებისა და წყევლის ფორმულები ძირითადად მიმართებისას, დიალოგში ანდა მონოლოგში გამოიყენება და მასში გამოხატულია მოსაუბრის, მოლაპარაკის ემოციური განწყობილება II ან III პირის, რამე მოვლენის მიმართ.

რაც შეეხება წმინდა ფიცილის ფორმულებს, მათში მთლიანადაა გამორიცხული სუბიეტის აქტივობა და ნატერაც გარკვეულ პირობაზე დამოკიდებული, ამასთან, ნატრულის შესრულების უდიდესი სურვილი გაწონასწორებულია პირობის ასევე არარეალურად დიდი არასურველობით.

## მაგალითად:

დედა მომიკვდეს, თუ ერთი სიტყვა მოგატყუილო! (ნ. დუმბ.).

— იმდენად რეალურად სასურველია და შესაძლებელი მოსაუბრისათვის დაპირება სიმართლის თქმისა, არმოტყუილებისა (მისთვის ეს თითქმის უკვე რეალური ფაქტია), რამდენადაც არასასურველია მისთვის დედის სიკვდილი.

## ასეთივე მაგალითებია:

მე არ მოვკვდე, მეც არავის მოვუთმენდი, მაგისთანა რამე რომ ექნათ ჩემთვის (დ. კლდ.).

შენც არ მომიკვდე, ცხენებმა ყურიც არ გაიბერტყეს (ილია).

აქ, შენ არ მომიკვდე, მე დარჩენა არ შემეძლოს (დ. კლდ.).

მე არ მოვკვდე, ბესარიონ, შენ ასე იაფად ვერსად ვერ იშოვო სიძელ მისთანა ყმაწვილი (დ. კლდ.).

შენც არ მომიკვდე, ლუარსაბ, კარგად გაკეთებულ ჩიხირმას ბოზბაში არა სჯობდეს (ილია).

მეც მეგონა წეიქცეოდა, მარა შენც არ მომიკვდე — ჩვენშე წინათ კადევ ის აფოფხდა აღმართში (ნ. ლორთქ.).

ამგვარ ფიცილის ფორმულებში მეტი ემოციისათვის ზოგჯერ მოსაუბრე თავის თავს ერთგვარად განაზოგადებს, III პირით წარმოადგენს ხოლმე.

## მაგალითად:

შენ შეგაწევ ჩემს დაჯაპებას გვინია! მოგიკვდეს მაშინ კაცია, შენი

წიხლი დამკარი ... კაცია არ ვიქნები, თუ შენი დაბალების დღე შენვე არ გაწავლი-  
ნე! (დ. კლდ.).

ვიცი, ყარამან, ვიცი, რომ გრძელი დღე არ მიშერია და რომ გეფერები, გემან-  
სოერები, მაგრამ შენ უემო გევლს შენი ციცინო! რომ იცოდე, რო-  
გორ არ შინდა სიკვდილი, როგორ არ მინდა! (დ. შენგ.).

მაშინ კი შერცხვეს ჩემი ვაჟკაცობა, თავი დატოვო (აკავი).

უკანასკნელ წინადადებაშიც იმავე განზოგადებასთან გვაქვს საქ-  
მე. ვაჟკაცობა იდამიანის უპირველესი ლირსება, სიცოცხლის ფასი  
თვისებაა, ხოლო ვაჟკაცობის შერცხვენა პიროვნებისათვის სიკვდი-  
ლის ფას მოვლენადაა მიჩნეული.

გრამატიკულად მესამე პირადაა წარმოდგენილი მოლაპარაკე სა-  
ალერსო მიმართვებში, სადაც აგრეთვე II კავშირებითის ნაკვთია გა-  
მოყენებული.

მაგალითად:

როგორ არა, გენაცვალოს ჩემი თავი, განა არ მოგეხსენება, მე ისე-  
თი ხელობა მაქვს, რომ უნდა მივაწყლ-მოვაწყლე აქეთ-იქით ცხოვრების გულისა-  
თვის (ვაჟა).

მაგრამ ძმაო, გენაცვალოს შენი დის თვალები, ჩემთ ჩამოქნილო  
სანთელო, რათ უნდა მაწყენიო? (გ. ლონნ.).

შდრ. აგრეთვე: დედა გენაცვალოს, ბებია შემოგევლოს და მისთ.

ანალოგიურ კონსტრუქციებში II კავშირებითის ნაცვლად გეხვდე-  
ბა აგრეთვე ნამყო ძირითადი. ონამედროვე ქართულში იგი უფრო მე-  
ტადაცაა გავრცელებული, ვიდრე კავშირებითის ნაკვთიანი ფორმულა.

საერთოდ, კავშირებითი კილოს შინაარსის თხრობითი კილოს  
ნაკვთით გადმოცემა უცხო არაა ონამედროვე ქართულისათვის. ასე  
მაგალითად, III კავშირებითის ნაცვლად II თურმეობითის ხმარება  
მთელ რიგ შემთხვევებში ლამის სისტემად არის ქცეული. მაგრამ სა-  
უურადღებო ისაა, რომ ასეთი შენაცვლება ძალზე იშვიათად ხდება  
ნატვრითს წინადადებებში. ჩანს, მათში ყველაზე მტკიცეა კავშირე-  
ბითი კილოს შინაარსი. ამასთან, რაღაც III კავშირებითი გამოხატავს  
აგრეთვე წარსულში შესაძლებელ, სავარაუდო მოქმედებას, მას მეტი  
დროული სიახლოვე აქვს II თურმეობითთან და ამიტომ შენაცვლებაც  
უფრო მოსალოდნელია. ნამყო ძირითადი და II კავშირებითი კი ერთ-  
მანეთისაგან უფრო დაშორებული ნაკვთებია. ნამყო ძირითადი წარ-  
სული დროის თხრობითი კილოს ძირითადი ნაკვთია, II კავშირებითი  
კი ძირითადად მომავალი დროის კავშირებითი კილოს ნაკვთი.

ამიტომ ძნელია უბრალო შენაცვლებაზე ლაპარაკი ამგვარ წინა-  
დადებებში:

სიკეთე მინდოდა, სიკეთე, დედავაცო, მაგ შეჩენებულებისათვის... გაუწყრა

მაგათ ჩემი გამწენი!.. კაცი არ ვექნები, თუ მე მაგენი რჩეულზე არ მოვაწყო! (დ. კლდ.).

სიმართლე სუსხია? ისე ღმერთმა მე მიშველა, რამდენჯერ ყავარენიც აყვავებულა სიმართლით! (გ. ლეონ.).

ყველა ამას გაიძახოდა ერთხმად: იმ, რა ცეცხლია, დაგლოცა ღმერთოა! (ვაჟა).

და ალოცა ღმერთმა ისევ თავშედ ხელალებული, გიუ, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიერ თერგი (ილია).

ხომ ხელვა, არ მეძინება, შენ არ დაგაძინა მამა ზეციერშა (დ. შეგ.).

მეტი შენ არ გაეზარდე შენს პატრონს და გაგინძა ეგენა, რამდენიც ერთი წლის ქირა გადაუხდელი მქონდეს, ეგრე! (ნ. ლუმბ.).

აბდუშაპილმა ხელები აპყრო მალლა და სოქვა: დაილოცა ღმერთო, შენიუცნაური განვება! (აკაკი).

გარდა ნამყო ძირითადისა, ამგვარ კონსტრუქციებში ზოგჯერ I თურმეობითიც გვხვდება.

მაგალითად:

შენს მტერს ნურა გაუგია, მაგან ვერა გაიგოს რა (აკაკი).

ხალხურ პოეზიაში ნატვრის გადმოსაცემად სწორედ თხრობითი კილოს ნაკვთიან ფორმებს აქვს უპირატესობა მიცემული.

მაგალითად:

ნეტავი ნატვრა მანატრა,  
ეს ნატვრა ამის დინაო  
ოქროს სასახლე ამიგო,  
ვერცხლის ფანჯრითა წინაო,  
მუხრანბატონი ყმით მომცა,  
ამილაზვარი შინაო.  
ჩერქეზის ქალსა აქებენ,  
ის გვერდით მომიწვინაო,  
კახური ღვინო წითელი  
მილებთ მომიდინაო,  
მუკუზნის ღვინით დამათრო,  
ახმეტას დამაძინაო,  
თორმეტი კოდი კორკოტი  
ერთ ჭერად გამიჩინაო.  
ლალისყურის გალავანი  
ჭამი დამედგა წინაო,  
სადაც დიდი ჭინდარია,  
კოვზათაც მამცა შინაო  
(ხალხ.).

ან:

ნეტავი ლაშეარს შაგყვარნა  
სამის ბატონის ყმანიო,

ხელსაც, ნაცვალსახელსაც, ზმნისართსაც, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში იმავე წინადაღებში კავშირებითი კილოს ველარ-დით, აუცილებელი იყო თხრობითი კილოს ზმნა<sup>21</sup>.

ასპექტის სისტემის შეცვლამ და მყოფადის ჯგუფის ჩამოყალიბებაში კავშირებითი კილოს ნაცვები გაათავისუფლა მომავალი დროის აღნიშვნის ფუნქციისაგან. მათი ძირითადი ფუნქცია გახდა კილოური შინაარსის გამომცემა. ამან თავის მხრივ გამოიწვია -მცა ნაწილაკის ფუნქციის დაბნელება და მისი თანდათანობით გაქრობა. -მცა ნაწილა-კის მოშლის გამოხატულებაა მისი ხმარება კავშირებითი კილოს ზმნებ-თან, რაც დაწყებულა XI საუკუნიდან და XVIII საუკუნის დამლევი-სათვის ძირითადად დასრულებულა<sup>22</sup>. მიტომ გასაკვირი არაა, რომ თა-ნამედროვე ქართულში სრულიად არაა გააზრიანებული მისი ფუნქცია.

მაგალითად:

აბა, რაფი ეგრეა და ახლა მე ვიცი თუ შენი ჭარი შავჭამო, კავაბო, და მე კა-ციმც ნუ ვიყო, ჭუდიმც ნუ მხურებიაო, ესთქვი და დავეტივ (ვაჟა).

ამ წინადაღებაში ორი -მცა ნაწილაკია, მაგრამ მისი ფუნქცია გააზრე-ბული რომ არ არის, იქიდან ჩანს, რომ ერთ შემთხვევაში იგი სწორადაა მოხმარებული, — უკავშირდება თხრობითი კილოს ზმნას (ქუდიმც ნუ მხურებიაო), მეორე შემთხვევაში კი — არასწორად, — დაკავშირებუ-ლია კავშირებითი კილოს ზმნასთან (კაციმც ნუ ვიყო).

-მცა ნაწილაკი ძირითადად -მცა და -ც ფორმით შერჩენილია I თურმეობითთან ნატერით წინადაღებებში.

მაგალითად:

უ წინამც საუკუნოდ დაპატიჟობია იმას თვალები (ვაჟა).

ხვევი და ბარაქა ნუ მც მოშლია ამ ჩვენს კალისა (დ. შენგა).

იმრავლე, იბეღინერე, ნუ მც მოგელებია სიხარული (კ. კომა<sup>23</sup>).

ამგვარი მსხვერპლის უჩვეულო არ არის ჩვენი ქვეყანა და დღეს, თუ განგებას ჩვენთვის წილად უხვევდებია სამსხვერპლო ზვარაკობა, სასოებით მიეეგებებით და მორჩილებით თავს დაფლებთ! საქართველოს ჭირიც წაგვილია! (აკაფი).

პატრონიც მოკვეც დომია ყველა ჩივილსა და წუხილს! ეშმაკსაც წაუღია შავი ფერი! (გ. ხორგა).

ჩვენს მიერ ადრე მოყვანილი თხრობითი კილოს ნაკვთებით (უპი-რატესად ნამყო ძირითადით, შედარებით იშვიათად — I თურმეობი-თით) გამოხატული დალოცვისა და წყევლის ფორმულები, რომლებ-

21 ა. შანიძე, მცა ნაწილაკი ძველ ქართულში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თხზ., I, თბ., 1957, გვ. 33.

22 პ. გაჩეჩილაძე, კელავ -მცა ნაწილაკისათვის, იქ, XII, თბ., 1960, გვ. 252.

საც კავშირებითი კილოს შინაარსი აქვთ, -მცა ნაწილაკდაყარგულ ან  
მათი ანალოგით შექმნილ ფორმულებად გვესახება.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, XI საუკუ-  
ნის შემდგომი ძეგლების ენაში -მცა ნაწილაკის წესიერი გამოყენების  
შემთხვევები შეინიშნება ძირითადად სწორედ წყევლის, დალოცვისა,  
ნატერისა და მისთ. ფორმულებში<sup>23</sup>.

იმის გამო, რომ ემ ფორმულებში სუბიექტი ერთგვარია, აბსტრა-  
ქირებულია, ამავე დროს, დალოცვისა და წყევლის გამომხატველი  
ზმნებიც არც თუ ისე ბევრი შეიძლება იყოს, ეს ფორმულები თითქმის  
გაქვავებული ფრაზებია; ამან უსათუოდ შეუწყო ხელი ამ ფორმულებ-  
ში ძველი კონსტრუქციის შემორჩენას. ფუნქციის სრული დაბნელების  
გამო თანადათან -მცა ნაწილაკი აქაც დაიკარგა, მაგრამ ზმნის ნაკვთი  
აღარ შეცვლილა, რადგან თვითონ კონსტრუქციის, გამოთქმას ჰქონდა  
კავშირებითი კილოს შინაარსი. ამ ფრაზითა ანალოგით შეიქმნა ალ-  
ბათ შემდეგ დალოცვისა და წყევლის ნაირგვარი ფორმულები, რომ-  
ლებშიც თხრობითი კილოს ნაკვთებით -მცა ნაწილაკის გარეშე გად-  
მოიცემა კავშირებითი კილოს შინაარსი.

XI. თხრობითი კილოს ნაკვთებს სხვადასხვა მოდალურ მნიშვნე-  
ლობათა გამოხატვა შეუძლიათ მხოლოდ ლექსიკურ-ინტონაციურ სა-  
შუალებებთან ურთიერთქავშირში<sup>24</sup>. ამგვარ ლექსიკურ-გრამატიკულ  
საშუალებებს მიეკუთვნებიან მოდალური სიტყვები და ნაწილაკები,  
რომლებიც კავშირებითი კილოს სემანტიკისათვის დამახასიათებელ  
კონსტრუქციებში თხრობითი კილოს ზმნებთან აღნიშნავენ სხვადასხვა  
მოდალურ ნიუანსებს (ნატერის, შესაძლებლობის, ვარაუდის, აუცი-  
ლებლობის, თხოვნის...).

ამიტომაც II კავშირებითი კონსტრუქციულად ერთგვარად განუ-  
პირობებელი, ჩაუკეტავი და თავისი უძველესი ფუნქციით — თხრობითი კილოს მო-  
მავალი დროის აღსანიშნავად<sup>25</sup>. (მდრ. მისი გამოყენება სხვადასხვა  
მარტივ, შერწყმულ თუ რთულ თანწყობილ წინადადებებში).

სწორედ ამ „თანაყოფლილი“ უნარის გამო არაკავშირებითის მო-  
დალობათა გადმოცემისა, — კავშირებითი კილოს აღნიშვნისას II კავ-

23. პ. გაჩეჩილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 252.

24 ნ. ოქროპირიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 297.

25 II კავშირებითის უძველესი ფუნქციების და საერთოდ, თხრობითი კილოს  
მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს სემანტიკური ურთიერთბობის შესახებ  
დაწერილებით იხ.: დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი. აგრეთვე: ა. პაპიძე,  
კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის გამოხატვისათვის ქართულში, ქესის, V.

შირებითი ხშირად „იხმარებს“ მოდალურ სიტყვებსა და ნაწილაკებს, რათა მათი საშუალებით კიდევ უფრო გამოიკვეთოს და შემდეგ კი დაკონკრეტდეს აღსანიშნი მოდალობა.

ამ მხრივ ცველაზე უფრო პროდუქტიულია ნაწილაკი უნდა. II კავშირებითის ნაკვთით გამოხატულ ზმნას ეს ნაწილაკი კატეგორიულობის, აუცილებლობის სემანტიკურ ნიუანსებს აძლევს.

ასე მაგალითად, ზმნით გადმოცემული მოქმედების შესრულების აუცილებელი, კატეგორიული მოთხოვნაა გამოხატული უნდა ნაწილაკისა და II კავშირებითის ნაკვთის საშუალებით შემდეგ წინადადებებში:

თანხმა ვარ, ჩემს შვილს ჯვარის დაწერის ნება მიეცე.. თქვენი პატივისცემისათვის... მაგრამ ამასთან ერთი პირობა უნდა დავდა და ის პირობა უსათუოდ უნდა ასრულდეს (დ. კლდ.).

დღეს სასწავლო პროცესი უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო-კულევით პროცესად უნდა გადაიქცეს, რომ დღეს ჩვენს მიერ აღზრდილი ყველა სპეციალისტი მკვლეფარის თვისებებითაც უნდა გამოიჩინოს („ახ. კომ.“).

ასე უნდა იქმნას, ამას კეცდები მე და მივაღწევ კიდევაც ჩემს მიზანს (ვაჟა).

არავის არ უნდა ეპატიოს ერთი ლურსმისის მოპარვაც კი („სოფლ. ცხ.“). ერთი არ დაივიწყო: ოში სიმღერით უნდა შეხვიდე! (გ. ლომნ.).

ჩვეულებითობის, საზოგადოდ დამახასიათებელი, აუცილებლობის სემანტიკით გამოიჩინიან უნდა ნაწილაკიანი ეს წინადადებები:

ვარ ე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს (ილია).

დღეს საღამოსაც იქვე უნდა წავიდე და კიდევ მოვისმინო ბულბულის მღერა (ვაჟა).

ღიონ ჯერ უნდა ადულდეს, აიროს-დაირის და მერე დაწენდება ხოლმე (ილია).

ცხენის საიდუმლოც იცოდა: როგორ უნდა გამოიყენონ ცხენი ბოსლიდან ხანძრის დროს ისე, რომ არ დაფრთხეს, არ აიგლიკოს, არ გაგიყდეს (გ. ლეონ.).

ტფილიში ბერი უცნაური ამბები ხდება და, თუ შენ სიცოცხლეში ტფილის პირებიდან დაინახავ, კენჭი უნდა გადაყლაპო, იმიტომ რომ ტფილისი ავია, ტფილისმა დაცდა იცის (დ. შენგ.).

უნდა ნაწილაკიანი II კავშირებითი ზოგჯერ თხოვნისა და სასურველობის მოდალობასაც გამოხატავს. მაგალითად:

— ჴო და კიდევაც, როგორც ტყის ხალხს, ბრიყეს, გაუნათლებელს, უნდა მოგვიტეო (ვაჟა).

ხანძახან გადადო უნდა წიგნის კითხვა (ნ. დუმბ.).

უნდა პნახოთ ის ამაყი, თავისუფალი ნადირი, რა-რიგად უდრტვინელად და შევიდად კვდება, მაგრამ მე ყოველთვის მის ცრუმლმორეულ თვალებში ეს აღმოშენებას: ჩემი მკვლელო! (ილია).

ხანძახან ჩემი მტანგველთაგანი, ალალისა ან მიმინდოსაგან დამტროხალი, მოატანს ხოლმე ჩემს ბინას და მაშინ უნდა ჰნახო იმისი წერი-გლეგა (ვაჟა).

## შეიძლება გამოხატოს ვარაუდიც:

ჭართველ ხალხს, რომელმაც წარსულში ესოდენ დიდებული მუსიკალური კულტურა შექმნა, უნდა გააჩნდეს მაღალი და ჯანსაღი პროფესიული მუსიკალური ხელოვნება („საბჭ. ხელ.“).

შენ „მზევები“ უნდა გვიჩვას, „მზევინარ“, ბევრს უთვამს მარიტასა-თვის (გ. ლეონ.).

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებითობა, თხოვნა, სასურველობა, ვარაუდი... კატეგორიულობის ერთგვარი „თანმხლები“ მოდალობებია. უნდა ნაწილაკიანი II კავშირებითის მთავარი და განმაზლვრელი ფუნქცია სწორედ კატეგორიულობაა.

ნატერითი მოდალობის აღსანიშნავად II კავშირებითთან გამოყენებულია ნეტავ, დაე, ბარემ, ვინძლო. ეგებ, იქნებ ნაწილაკები. დალოცვისა და წყევლის ფორმულათა ტიპის ნატერითს წინადაღებებში ნაწილაკი არ იხმარება („ნულარა ივი და ურიგო მოგარვინოს“, — ვაჟა).

ნეტავ ნაწილაკი ნეტარ ვინ გამოთქმისაგან წარმოშობილად მიაჩნიათ<sup>26</sup>. ნატერით ნაწილაკებს შორის იგი გამოირჩევა განსიაჟუსტრებული ემოციურობითა და ნატერის აქცენტირებით. ამ ემოციურობით ნეტავ ერთგვარად შორისდებულსაც უახლოვდება, რის გამოც წინადაღებაში ზოგჯერ იგი შორისდებულადაც გაიაზრება ხოლმე. მაგალითად, ასე ჩანს გაგებული ნეტავ ნაწილაკი შემდეგ წინადაღებებში:

ნეტავი, სულ გადახმეს მთელი ტუე, ათასწილად ის აჯობებს (ვაჟა).

ნეტავი, ღმერთმა ეს ცოდვა მაპატიოს, რაც კისერზე მაძეეს (ვაჟა).

მოდალური ნაწილაკები, როგორც წესი, წინადაღებას მძიმით არ გამოყოფიან, რადგანაც ისინი, შორისდებულის მსგავსად, წინადაღებაში ასახული რაიმე კონკრეტული ვითარების განცდის გამოძახილს კი არ წარმოადგენენ, არამედ ზმნით გამოხატულ მოქმედებას აძლევებ გარკვეულ მოდალობას. ასეთი მოდალური ფუნქცია აქვთ მათ იმ შემთხვევებში, როდესაც უშუალოდ კავშირებითი კილოს ნაკვთის ზმნებთან არიან დაკავშირებული. ასეა ზემოდასახელებულ მაგალითებში. ასეა შემდეგშიც:

ნეტავი ბოლოს გამომიძახოს, მანშედე რამეს მოვიფიქრებ-მეთქი („ას. კომ.“).

დაე//დეე ნაწილაკი მხოლოდ კავშირებითი კილოს ნაკვთებთან იხმარება, განსაკუთრებით ხშირად — II კავშირებითთან. დაე (—და-

26 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძველები, თბილისი, 1973, გვ. 615.

ეს სენ) ზმნით ოღნიშნული მოქმედების შესრულების სასურველობას მოწოდების მოდალობას მატებს. მოწოდება მიმართულია მოლაპარაკისაგან II და III პირებისაკენ.

მაგალითად:

რა შეგვისვა, რა შეგვიჭამა, და ე იცოცხლოს მაგანაც, გაიხაროს (ვაჟა).

და ე უნდოდეს, და ე მოვავდე (ვაჟა).

გეტვი ყოველ ჩემ გარდასავალს და და ე ღმერთმა ეს აღსაჩებად მიმითვალოს (ილია).

მა, და ე, იყოს ისტორიული უშიშარი, უანგარო, დამოუკიდებელი, თვისუფალი სიტყვისა და ჭეშმარიტების მეგობარი, უწოდოს ვარსკელავს ვარსკელავი, ხოლო ვარცლს — ვარცლი, არ იხელმძღვანელოს ამბების გადმოცემისას ვისმესადმი მეგობრობით, ან მტრობით („ილიტ. ხაქ.“).

მოწოდების გამოხატველია აგრეთვე ნაწილაკი ბარემ, ოღონდ, და ნაწილაკისაგან განსხვავებით, იგი გამოხატავს ისეთ მოწოდებას, რომელიც შედარებით არასასურველია (მოლაპარაკის თვალსაზრისით), ხოლო II კავშირებითის ნაკვთით გამოხატული მოქმედების შესრულებისაკენ მოწოდება დაფუძნებულია რაღაცის დათმობასთან, თავის შეკავებასთან ან არასასურველ გარდაუვალ აუცილებლობასთან.

მაგალითად:

ბარემ მოკვდეს და დავმარხოთ (ნ. დუმბ.).

დამაცადეთ, ბარემ გავლესოთ კიდევ (გ. ხორგ.).

ვინძლო ნაწილაკი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც წინადადებაში გამოხატული სასურველობა, ნატვრა გარკვეული შემსრულებლისკენაა თხოვნით მიმართული. მასთან, ეს თხოვნა კატეგორიული კი არაა, მორიდებულია, შეხვეწებაა და გამოხატავს პატივისცემასაც იმ პირის მიმართ, ვისაც სასურველის შესრულებას სთხოვენ. ამ თვალსაზრისით იგი ერთგვარად თავაზის ფორმასაც მოგვაგონებს.

მაგალითად:

ქარო, შენ გენაცვალე, ვინძლო, ერთი ტოტი მოტეხო აგერ იმ ვერხვებს და აქ წამომილო, ან ერთი ფოთოლი მაინც კიდევ (ვაჟა).

ვინძლო, დედაც დაიჭიროთ (ვაჟა).

წერილი გამომატანეს, ვინძლო, საითაც იყოს და არ იყოს, წერილი მიაწოდოვთ (ვაჟა).

მეცე ბრძანდები, ჩვენი იმედი, ჩვენი ნუგეში, ვინძლო რომ ჩემი დაჩაგვრა არ შეარჩინოთ იმ უსამართლოს (ვაჟა).

აბა, ვინძლო მორჯულდე და შენი ცოლ-შვილის ცოდო აგვაშორო (ზ. ჯავა).

ვინძლო გადავარჩინოთ ჩვენი ხალხი უშესულოთა მიერ დამონებას (კ. გამბ.).

ვინტლო ჩახვდე ამ სასწაულს („ციხე“).

ბოჩიას მზერა აცილებდა, — კეთილად გამგზავროთ, შეილო, აბა, ვინტლო, არ დაიგვიანოთ (ჩ. ინან.).

ეგებ (—ეგების) ნაწილაკიანი II კავშირებითით გამოხატულია საეჭვოობა სასურველი მოქმედების შესრულებისა. ამასთან, სურეილის აუხდენლობის ამ ეჭვს, შიშს ერთგვარი იმედიც ახლავს, იმედი ნატვრის ასრულებისა.

მაგალითად:

მას უკან, ხშირად, საღამ-საღამოობით ბოსტნის ბოლოზე ვიცდი ხოლმე: ეგებ კიდევ გამოვარ დეს კურდლილ და დავიჭირო მეტე (აკაც).

არ დავიჭიდეთ, მათ მახლობლად საქონის ნამყოფი კაცი რომ არის — გამოტესა შენაძლება ახლად გაკუდიანებულების — იმას სთხოვონ, ეგებ წამოყვეს და გამოტეხოს, კულანონბილან ეგებ რამეფრად ლეხი ამოადგმევინოს იმ დალოცვილმა (დ. კლდ.).

ძალიან ვეცაღოთ, ეგები ხელში ვიგდოთ (ვაჟა).

არა, ბატონო, ცოტაოდენი ოტკა მინდა გადავკრა, ეგების გამაგულა-დოს (აკაც).

უთხარი — ბებია მყავს ავალმყოფი, მოხუცი, უძლური-თქვა და ეგები აღრე დაგამთავრებინოს, თვარა წევიდა სული, ნენა, მოლოდინში (ნ. დუბბა).

შევიღობით, ძმებო, შევიღობით, ცოცხალს არ მეღირსა თქვენთან ყოფნა, ეგები მკედარს მაინც მეღირსოსო (ვაჟა).

კიდევ უფრო გაძლიერებულია შიშისა და ეჭვის სემანტიკა იქნებ ნაწილაკიან ნატვრითს წინადაღებებში. იმედი ნატვრის ასრულებისა აქ მინიმუმამდეა შემცირებული.

მაგალითად:

იქნებ კიდევ ვეღირსო ბულბულის ხმის გაგონებას (ვაჟა).

იქნება, იქ, ზღვაში მაინც ვპოვო თავშესაფარი (ვაჟა).

მაგრამ ამ წერილებმა იქნებ საღლაც დელური გრძნობა გაუღლვიძონ გულევა ქალს (კომ.“).

ვინ იცის იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და ოლტრილისა? იქნება ზურგიც არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა; რაღვანაც ჩემში მაინც-და-მაინც ჩემი ქვეყნის დერიტა დაღებული (ილია).

ძირითადად კი, იქნებ ნაწილაკიანი II კავშირებითით გამოხატულია საეჭვოობა ზმნის გამოხატული მოქმედების შესრულებისა, გამიჩნულის ასრულებისა.

მაგალითად:

ვეღარ მომითმინა გულმა, ვსთქვი, რაც უნდა იყოს, მივალ, იქნება ვათქმე-ვინო რამე (ილია).

დღეს აქანა ხარ და ხვალ, იქნება მამაშენმა თან შეგიუგანოს (დ. შენგ).

იქნება ოდესმე გზაში მნახო, ყვავ-ყორანი გულზე მაჯდეს (ნ. ლორთქ.). მე, ხომ, ზევით რომ ვთქვი, ის მოვიგონე, ებლა სხვა ჩემისთანა სხვას მოიგონებს, იქნება იმისთანა კაციც გამოვიდეს, რომ თქვენს ქალაქშიაც იზღურის ბაზი გამართოს (ილია).

იქნებ ერთხელ ნათევამი და დაწერილი ეს სტრიქონები მოეწონოს კი-ლეც მეითენელს, მაგრამ... (ახ. კომ.“).

იქნებ იფიქროთ, უშვილო ციციკორე უსაქმო კოფილა, პირადი საქმე არ ჰქონია და მხოლოდ სხვის ჭკუის დარიგებას იყო გადაგებულით (გ. ლეონ.).

იქნებ ნაწილაკის ანალიგიურად იხმარება II კავშირებითთან ვაითუ ნაწილაკი. მი წინადადებებშიც გამოხატულია დიდი საეჭვოობა ზმინით აღნიშნული მოქმედების შესრულებისა. ამისთან, ვაითუ ნაწილაკიან შესიტყვებაში გამოხატულია იგრეთვე ერთგვარი საფრთხილე, შიშიანი შეშფოთებაც.

მაგალითად:

რა ვენა, უკან მოვბრუნდე და გავიქცე? ვაითუ უტრო ვამოვიდ გნენი (რ. ინან.).

უნდოდა ნინიკას ხელი შაეყო, მაგრამ თანაც ვერა პედავდა, ვაითუ ხელზე მიკბინოს და, რომ შიში არ გამიგოს ცოლმა, სალომე წააქეზა (ვაჟა).

და შენც გეშინია, ვაი თუ ისე ვერ გააკეთო, ისე შეასრულო დავალება, როგორც სიჭიროა (ახ. კომ.“).

შესარიონა ხომ მოატყუა, არაფერი მისცა და ქაიხოსრომაც ვაი თუ ამისთანა რამ საქმე და მართონს! (დ. კლდ.).

ვაითუ მეულე გავგიან ჩელდეს, ბატონო გალაკტიონ, ასე აღრიან ნასვამს რომ მიგიყვანთ („ლიტ. ხაქ.“).

პირველის სიცოცხლეე შიშს პბადებს ჩემს გულში: ვაი, თუ მომიკლიან, ვაი თუ მოუსპონ სიცოცხლე (ვაჟა).

ჩემთვის დღესაქამოდე დათვს არაფერი დაუშავებია, არც გამოვედომია დასაჭერად და ვაითუ ამიერიდან, რომ არ მივულოცოთ, გაშურეს და დაგვემტეროთ (ვაჟა).

ეჭვის მოდალობის გამომხატველია (არა) მგონი(ა) ნაწილაკი, რომელიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წარმოშობით ჩართული უნდა იყოს. ჩართულადაა გააზრებული ზოგჯერ იგი ამჟამადაც<sup>27</sup>. (არა) მგონი(ა) მოდალური ნაწილაკი II კავშირებითთან გამოხატავს შედარებით უფრო კატეგორიულ ეჭვს და სათუოობაც მოქმედების შესრულებისა საქმაოდ დიდია.

მაგალითად:

მალე რაცხა რკინიგზა გვექნება და არ მგონია კი დღე დაგვაყენოს (დ. შენგ.).

27 მგონია-ს ჩართულ სიტყვებსა და გამოთქმებში თვლიან დღესაც. იხ. ლ. კ 3 ა-ჭ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 305.

არა მგონია მხოლოდ სათურის გამო იყოს, რომ ამ ცილში ჩვეულებრივ ფაზიზმები თოვებასთან ჩვეულებრივად ლაპარაკობენ („ახ. კომ.“).

არა მგონია მან თვით იმართლოს ყოველივე ამაში („კომ.“).  
გაავდრებით ამაღამ კი არა, მგონი დღეს სწორსაც არ ვაავდრდეს (რ. ჭავ).

მგონი, არა ხლი მაგაში არ შეეცილოს (ოლა).

არა, ჩემო კიკო! ამაღამ ვგონებ სულაც არ დაშეძინოს, ისეთ გუნებაზედა კარ (ავაკი).

მოურავო, არაა ნიდირობის საქმე? წლეულს, მგონია, მწყერები ბლობად იქნეს და აბა, შენ იცი, რავა გააწაფიებ მიმინჯებს (დ. შენგ).

(არა) მგონია, მგონი გამოთქმის მაგალითზე კარგად ჩანამედროვე ქართულში ჩართულის ტიპის განკერძოებული გამოთქმის ნაწილაკად ქცევის პროცესი, რაც ჭერ კიდევ დასრულებული არ არის.

მიზან-პირობითობის აღნიშვნა კავშირებითი კილოს ნაკვთთა ერთერთი სპეციფიკური ფუნქციაა. ორი მოქმედების დაკავშირება გარკვეული პირობითობით, განსაზღვრული შესაბამისობითა და მიზანთხორციელდება როგორც ნაწილაკების გარეშე, ისე ნაწილაკების საშუალებით.

მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში II კავშირებითი მიზნის მოდალობას გამოხატავს ნაწილაკების გარეშე. კავშირებითი კილოს ნაკვთთა გამოყენება მიზნის გარემოებითს დამოკიდებულ წინადადებაში ამ ნაკვთთა ძველს ქართულშივე ნათლად გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული ფუნქცია იყო. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უკავშირდება რომ ანდა რათა კავშირების საშუალებით.

მაგალითად:

ამბობს ყარამან და ცრემლმორეული თვალებს დარცხვენით დაუშენებს, რომ ციცინომ არ შენიშნოს (დ. შენგ).

მაგას თეთრი ფურის ჩაის თეთრი ფაფა მიართვი, რომ კბილები შრომით არ დაეღლა ლოს (გ. ლეონ).

რავი იყნოსა, კაცის სუნი აიღო, ირემთა დააპირა გაქცევა, მაგრამ თოტმა იგრიალა და ირემი, აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ლალი, გაირთხო იმ ბალახზებედ, რომლის კელთაშიაც პირველად აახილა თვალი, რომ მიერსალმოს ქვეყნისა და ბოლოს უკანასკნელად დახუჭოს, რომ სამუღამოდ ვამოესალმოს (ოლა).

ეს თვით და თვით საქმეა, თორემ კიდევ ბევრი რამ არის საშირო, რომ მწყემსმა ისე იცხოვოროს ფერმაში, როგორც საკუთარ სახლში („კომ.“).

ილარიონი კი დაბა ჩემს უკან თვით აქიცნებს და ელოდება როდის ჩამოვსვამისგბიას, რომ შივიღეს და აღმიანურობ მიესალმოს (ნ. ღუბბ).

მაგრამ კველასთვის კი არა, მარტო იმათვეის, უნც რუსეთში წასულა, რათ აპეკუა ავარჯიშოს, ტვინს ღია გულს მოძრაონა მისცენს, — უეხი ადგმევინოს (ოლა).

ჩემი ჭიბი თურმე კერას არა დაფლული, რომ სულ ჩემს კურაზე ვიდგე და  
არ გავგარეულ დეო (გ. ლეონ).

ჩემ დიდი ომშირდელობითი მუშაობა გვმართებს, რათა კ. წ. უბრალო  
მსმენელებმა შეიცვარონ დიდი მუსიკა („ხაბჭ. ხელ.“).

მიზნის მოდალობაა გამოხატული აგრეთვე ოლონდ ნაწილაკიანი  
II კავშირებითის ნაკვთით.

მაგალითად:

ოღონდ მაგან თავი დამანებოს და ცხვირს სულაც მწვანედ შევიღებავ  
(ნ. დუმბ.).

ტანტალა არავითარ დანაშაულს არ მოერიდება, ოღონდ თავისი დანგლრეული  
ეტლი და მეტლეობა შეინარჩუნოს (რ. ჯაფ.).

ამასთან, ოლონდ ნაწილაკიან შესიტვებაში მიზანთან ერთად გარ-  
კვეული პირობითობაც გამოხატება. შძრ. ზემომოყვანილ წინადაღე-  
ბებში — ცხვირის მწვანედ შელებვა არის გარკვეული პირობა მთავა-  
რი მიზნის შესრულებისა — თავის დანებებისა. ასევე, დანაშაულის  
არ-მორიდება, სათაკილო საქმის ჩადენა შეიძლება იყოს ერთგვარი პი-  
რობა, საშუალება ტანტალასათვის მეტლეობის შენარჩუნებისა. ასე-  
ვე შეიძლება ითქვას ამ წინადაღებებზე:

უთუოდ ჩვენს ნებაზე უნდა იქნეს ყველაფერი და თუ ისე არ იქნა, საშუალე-  
ბასაც ალარ გავარჩევთ, ოღონდ კი სურვილი ავისრულოთ (დ. კლდ.).

ოღონდაც მოიშოროს და, მთელ ქონებას უზოვებს თავის სახლერია-  
ნადაო (გ. ხორგ.).

შენ ოღონდ არაყი დაგალევიოს კაცმა და ისე დაიშაქრავ ენას, ტყე-  
მალს მურაბად გადაქცევ (ნ. დუმბ.).

ამ პირობითი მოდალობის გამოხატვა წინადაღებაში აკისრია სწო-  
რედ ოლონდ ნაწილაკს. მთელ რიგ წინადაღებებში ოლონდ ნაწილაკი  
საკუთრივ პირობითობის მოდალობას აღნიშნავს.

მაგალითად:

ამოვიყვანოთ, ოღონდ ხმამალუ დაიძახოს მთხლე ვარო (ნ. დუმბ.).

მეტ ფორთხვეთ. აეალ ამ მღვიმეში, ოღონდ ცირამ არ მოწყვიტოს  
ყვავილი (ნ. დუმბ.).

პირობითი მოდალობის გამოსახატავად II კავშირებითან ყვე-  
ლაზე ხშირად გამოიყენება თუ, თუნდ ნაწილაკები, აგრეთვე (თუ) ვი-  
ნიცობაა.

მაგალითად:

ვიცი არ ვიქნები, თუ შენისთანა ურჩულო და არაშინდა რჩულზე არ მო-  
ვიყვანო (დ. კლდ.).

უთხრა: თუ მოგცენ ორ მანეთ-ნახევარი, გაყიდე, თუ არა და ისევ სახლში მოიტანე (დ. კლდ.).

შევიდობით! თუ შევხვდეთ ერთმანეთს კიდევ როდისმე, გოხოვთ მიცნობ-დეთ! (ილია).

და თუ ვინიცობაა მოვრჩდე და მტერმა გაიხაროს, შენ ვიუბ-ნები მარტო საიდუმლოს (ვაჟა).

და ვინიცობაა... კამათი დაგიწყონ, ინუშიც ნუ ჩაგდებო (ნ. ავა-ლიშვილი, თაჩქმ.).

თუ ნაწილაკიანი წინაღადებები ზოგჯერ ერთგვარი, ალტერნატი-ვის შემცველი შესიტყვებებია.

მაგალითად:

უხეიროდ დახვაეცულ ეპითეტებზე წითლდება, არ იცის რა თქვას, უველაფერი იმ კურნალისტს დაბრილოს, თუ სულაც გაჩუმდეს და შინ გაიპაროს („ახ. კომ.“).

გინდ, თუნდ ნაწილაკიან პირობითს წინაღადებებში ერთი მოქმე-დება მეორე მოქმედების უბრალო პირობა კი არა, აუცილებლობაა. სხვა შესაძლებლობა, დათმობა გამორიცხულია. ამგვარ პირობას კატე-გორიული სახე აქვს. ამასთან, შედეგი, რის მისაღწევადაც იდება პი-რობა, მოსაუბრისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, არსებითია, — მას შესასრულებლად ყოველგვარ დათმობაზე შეიძლება წასვლა.

მაგალითად:

შივრბივარ... თუ ნდა კლდეზე გადავვირდე, თუ ნდ წყალში ჩავ-ვარ დე... ნუ ვნახავ ამ სურას (ვაჟა).

თქვენში რა მადლია, გინდ დაგიჭიროსო კაცმა, გინდ არა, ყლაპი გა-მოხვალთ, ყლუპა აღარა, თქვე უჭიშოებო, თქვე ლაწირაკებო! (ვაჟა).

მის გონებიდან, თუ ნდ დედინაცვალი ანგელოზად გარდა აქმნეს, ვერ ამოშვილის დედის სახის მეტყველებას (ვაჟა).

თუ ნდა რომ მე ვაპატიო, ღმერთი მაინც მოჰკითხეუს, ვინც ეგ სიკეთე მიყო (ილია).

ჩქარა, ჩქარა, ჯანდაბას, აღარ შემიძლია, გინდა დავიხრჩო, მაინც უნდა ჩაეისუნოთქო (ნ. დუშბ.).

თუ ნდა მომკლან, ასო-ასოდ აქეაფონ, უნდა გამოვემცნაურო, — სოქვა მამამამა (ვაჟა).

თუ რამ დაიჭინეთ, იმის გადათქმას სიკვდილს ვარჩევთ, თუ ნდაც რომ მტყუანიც ვიყვეთ (დ. კლდ.).

გინდ ეგ არ იყოს, ეხლა აღარაფრისა მეშინიან, თუ ნდა გამცე კიდევ (ილია).

თანამედროვე ქირთულში უფრო გავრცელებულია ისეთი პირობითი სახის წინაღადებები, რომლებშიც II კავშირებითი ნაწილაკის გარეშეა გამოყენებული. ამ შესიტყვებებში პირობა II კავშირებითით არის გამოხატული, ხოლო შედეგი — ძირითადად მყოფადის ნაკვთით,

„[კვიპროსზე] რეაქტიის პირველი შეტევა... ტომთაშორისი შუღლის გაღიყვებით დაიწყო ჭერ კიდევ 1963 წ.“.

„მე უ ჩემ ბათაშორისი საწარმოები“.

„კიბერნეტიკაში მომუშავე სპეციალისტი დისციპლინათა-შორისი სპეციალისტი უნდა იყოს“.

-თ

„ვარსკვლავთ შორისი მოგზაურობა“.

„ვარსკვლავთ შორისი ზონდები“.

„ინგლისის კონსერვატორები ახლა არ ცდილობენ პარტიათა-შორისი ბრძოლის გამწვავებას“.

„გავაფაროოთ... რეინიგზის ტრანსპორტის დარგთ შორისი საწარმოების ქსელი“.

„მთავრობის კომისიებისა და ქარხანათა შორისი კომიტეტების შეთანხმება“.

ამ წესით კომპოზიტების შედგენას დიდი ხნის ისტორია აქვს. შეიძლება მოყვითალო მაგალითი ილას პუბლიცისტური წერილიდან: „ესეთი კაცითა შორისი უსამართლო, უმაღლო და ულმობელი ურთიერთობა, რასაკირველია, ოდესმე თავის დროსა და უამს მოიგამს“<sup>2</sup>. უფრო მეტიც, ისეთი ტერმინები, როგორიცაა საუკუნეთა-შორისი, ცხოველთა-შორისი, ჟამთა-შორისი, რიცხუთა-შორისი და სხვ., ცნობილია ჭერ კიდევ XI—XII სს-ის გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიშვილის (აგრეთვე ეფრემ მცირის) შრომები-დან<sup>3</sup>.

შორისი შემცველი სიტყვები, ყველა ზემომოყვანილი წესით შედგენილი, შესულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა და სამტომიან რუსულ-ქართულ ლექსიკონში (ტ. I, 1956 წ.).

ქეგლ

### სა- — შორის-თ

-თა

საერთაშორისო

-თ

საბრიგადათშორისო

საერთობათშორისო

საპლანეტათშორისო<sup>4</sup>.

2 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VIII, თბ., 1957, გვ. 347.

3 დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიშვილის ფილოსოფიურ შრომათა უნა და სტილი, თბ., 1975 წ., გვ. 104—105.

4 ერთ სიტყვაში ანთევარქავებშია ჩასმული: ასაბიბლიოთევართაშორისო; ე. ი. დასაშვებად არის მიჩნეული ორივე სახეობა.

დაბნეული ხარ, ლამის ძნელი გასარკვევი გათდეს, ამ ტიტულოვან მოლ-ვაწეთაგან ვინ კეშმარიტად დამისახურა ეს წოდება და ვის ასეთი გზებით მოუპოვებია („ლიატ. საქ.“).

ქშიან არწივს ისე, რომ, ლამის, სული ამოჳხლეს (ვაჟა).

გიორგის თვალები ეწვის და ლამის სახსრებში ამოიყრევინოს თო-თები (რ. ინან).

XII. ამგვარად, თანამედროვე ქართულში II კავშირებითი კილო-ური თვალსაზრისით საკმაოდ განუსაზღვრელი ნაკვთია. იგი იხმარება როგორც კავშირებითი კილოს, ისე ბრძანებითი და ოხრობითი კილოს გადმოსაცემად. განსაკუთრებით აღსანიშნავია II კავშირებითის მო-ნაწილეობა მყარ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში, ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციაში, ოფიციალური დოკუმენტების ენაში, დალოცვისა და წყვევლის ფორმულებში, დიალოგურ (კითხვა-მიგებით) მეტყველე-ბაში და სხვ.

კავშირებითი კილოს სხვადასხვა მოდალურ ნიუანსს II კავში-რებითი გამოხატავს შესაბამის მოდალურ სიტყვებსა და ნაწილაკებთან ურთიერთობაში. მათგან ყველაზე პროდუქტიულია უნდა, ხშირად გა-მოიყენება აგრეთვე განძლო, იქნებ, ეგებ(ის), ნეტავ, დავ, ბარემ, ვა-თუ, (არა) მგონია(ა), ოლონდ, თუნდა, ლამის.

ამასთან, აღნიშნულ სხვადასხვა შინაარსს II კავშირებითი გამო-ხატავს მხოლოდ რთულ ფუნქციურ-სემანტიკურ საშუალებათა ერ-თობლიობით, და მაშადამე, ის ფუნქციები, რომლებიც II კავშირე-ბითთან დაკავშირებით გამოიყო, არის არა საკუთრივ II კავშირები-თის, როგორც ნაკვთის, ნიშანი, არამედ აღნიშნულ ფუნქციურ-სემან-ტიკურ საშუალებებთან ერთად განსაზღვრულ კონსტრუქციებში ამ ნაკვთის ხშირი მონაწილეობის გამოხატულება.